ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 26 სექტემბერი, 2022 №189 (8967) ფასი: 80 თეთრი

13 წლის შვილიშვილის მიმართ სექსუალური ძალადობის ბრალდებით, შიდა ქართლში კაცი დააკავეს

გვ.5

„მელიამ თქვას, რომ გაუჭირდა პარტიის ლიდერობა და გადადგეს!“

თაკო ჩარკვიანი: „ბოკერიას კვლავაც ღრმად აქვს ფესვები ნაციონალურ მოძრაობაში... „ძალა ერთობის“ დანგრევაშიც უდიდესი წვლილი აქვს ბოკერიას გეგმით ნიკა მელიას“

„ერთი წლის წინ, 10 ნოემბერს, როდესაც მე ვაკეთებდი აქციას, სააკაშვილი რომ ჩამოვიდა, პირველი გაშიფრული დარტყმა მაშინ მივიღე ნიკა მელიასგან“

გვ.2

„ცრუ ინფორმაცია ვრცელდება, თითქოს სააკაშვილს პატიმრობის ვადა გადაუვადდება“

გვ.2

შალვა ხაჭაპურიძე: „აუღებელი ციხე-სიმაგრეა ჯანდაცვის სამინისტრო, გვემალებიან“

ლევან ალაფიშვილი: „გასაოცარია ოპოზიციის ასეთი მდორე და მოდუნებული მდგომარეობა“

გვ.3

2024 წელშიც „ოცნება“ მოვა, თუ ასე გაგრძელდა

რა სიტუაციაა რუსეთის სამხრეთ რეგიონებში?

ოკუპირებულ აფხაზეთში მობილიზაციის ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფი ამუშავდა

გვ.4

ირაკლი ღარიბაშვილი: „მკაფიოდ მინდა განვაცხადო, რომ საქართველო იმსახურებს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს“

გვ.3

გვ.3

კინზინგერი: „ბრძნული იქნებოდა, თუ საქართველო ჩაკეტავდა საზღვარს“

ავტოავარიას დეკანოზი ალექსი როხვაძე და მისი 8 წლის შვილი ემსხვერპლნენ

გვ.5

4 „ხელი გამარტყა რამდენჯერმე“ — მოქალაქე რუს ტურისტებს ცემაში ადანაშაულებს

5 სცემეს თუ არა გრიგოლ ნარსიას პოლიციელებმა დაკავების შემდეგ

5 მარტვილში ერთ-ერთი ოჯახი გაქურდეს, წაღებულია დიდი ოდენობით თანხა და ოქროულობა

6 რუსეთის სპორტულ გუნდებს საზღვარგარეთ გამგზავრება აეკრძალათ

1993230720223

„ცრუ ინფორმაცია ვრცელდება, თითქოს სააკაშვილს პატიმრობის ვადა გადაუვადდება“

შალვა ხაჭაპურიძე: „აუღებელი ციხე-სიმაგრეა ჯანდაცვის სამინისტრო, გვემალებიან“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

– ბატონო შალვა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს შეთანხმება მიღწეულია, სააკაშვილს სასჯელი გადაუვადდება და მას ევროპულ კლინიკაში გადაიყვანენ სამკურნალოდო. ადასტურებთ ამ ინფორმაციას?

– არა, ვერ დაგიდასტურებთ. ცრუ ინფორმაციაა. ცალსახად ასეა. მსგავსი არაფერი ყოფილა.

– რა პროცესი მიმდინარეობს ახლა?

– ველოდებით, ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა გასცეს ნებართვა, ამერიკელები ჩამოვლენ, ამის შემდეგ დაიდება ექსპერტიზის დასკვნა და ამის შემდეგ მივმართავთ სასამართლოს. შემდეგ კი სასამართლო გადაწყვეტს ამ ყველაფერს.

– რაიმე მონახაზი შეთანხმების, ამდაგვარი არაფერი ყოფილა?

– არა, კატეგორიულად უარვყოფ.

– როგორ გრძნობს თავს მიხეილ სააკაშვილი?

– ძალიან ცუდად. წონაში იკლებს და ძალიან სუსტადაა. არაფერი სასიკეთო. ველოდებით ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას. ორ თვეზე მეტია გაგვიჭიანურა ეს პროცედურა.

– უცხოელმა ექსპერტებმა ხომ ჩაატარეს უკვე ექსპერტიზა? როდისთვის ელოდებით პასუხებს?

– ეს პასუხები უკვე ჩამოსულია. თუმცა ეს გაჟღერდება მას შემდეგ, რაც დანარჩენი ექსპერტებიც ჩამოვლენ და დაიდება ერთობლივი საექსპერტო დასკვნა.

– და როდისთვის ელოდებით ამ ყველაფერს?

– გასულ პარასკევს უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ მოხერხდა, ახლა, შემდეგ პარასკევს ვნახოთ, რა იქნება. პარასკევობით იმართება ჯანდაცვაში სხდომები, როგორც გვითხრეს.

– ანუ ჯერ სასიკეთო არაფერია?

– არაფერი. აჭიანურებს ჯანდაცვის სამინისტრო. კომუნიკაციაც კი ვერ დგება მათთან. ასეთი აუღებელი ციხე-სიმაგრე არ მინახავს, რაც ამ ჯანდაცვის სამინისტროში ხდება.

– ბრეგაძე თავიდან იცილებს კითხვებს, ეს სასამართლოს პრეროგატივაა და მათი გადასაწყვეტიაო.

– გავიგე, მაგრამ თუ ექიმები არ დაუშვეს, ვინ ჩაატარებს ამ ექსპერტიზას?! ქართველები ჩაატარებენ, არ დაუჯერებენ, ამიტომ მოვიწვიეთ ამერიკელები და დამოუკიდებლები, რომ ყველასთვის დამაჯერებელი იყოს დიაგნოზები. არ გვაძლევენ მათი ჩამოყვანის ნებართვას.

– ვინც იყვნენ ჩამოყვანილი, მათი დასკვნა საკმარისი არ არის?

– სხვადასხვა პროფილებია. რაც აწუხებს, ყველა კუთხით უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, რომ მთლიანი სურათი დაიდოს.

– ფიქრობთ, რომ მიზანმიმართული გაჭიანურება ხდება ჯანდაცვის მხრიდან?

– სხვანაირად ვერ ავხსნით, არ აიხსნება. ვაწვდით მასალებს, ხარვეზი აქვსო, რა არის ეს ხარვეზი, არ განგვიმარტავენ, კომუნიკაციაც ვერ დგება ჯანდაცვის სამინისტროსთან. გვემალებიან. მიმოწერა აქვთ ფოსტით, რომელიც ერთი კვირის შემდეგ მოდის.

– ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლება არჩევნებამდე არ გაუშვებს სააკაშვილს არსადო და რეალური გეჩვენებათ ეს ყველაფერი?

– სასამართლოზე გამოჩნდება ეს ყველაფერი. სასამართლომდე ძალიან გამიჭირდება რამის თქმა.

– როდის იქნება სასამართლო პროცესი?

– ექსპერტიზა დასრულდება თუ არა, 2-3 დღეში ჩაინიშნება პროცესი. თუმცა, თუ ამ ტემპებით გაგრძელდა, მაშინ არ ვიცი რა იქნება. აბსოლუტურად ყველა ვადა დაარღვიეს, რისი დარღვევაც შეიძლებოდა.

„მელიამ თქვას, რომ გაუჭირდა პარტიის ლიდერობა და გადადგეს!“

თაკო ჩარკვიანი: „ბოკერიას კვლავაც ღრმად აქვს ფესვები ნაციონალურ მოძრაობაში... „ძალა ერთობის“ დანგრევაშიც უდიდესი წვლილი აქვს ბოკერიას გეგმით ნიკა მელიას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თაკო ჩარკვიანი პასუხობს.

– ქალბატონო თაკო, ბოლო პერიოდია ოპოზიციაში ისეთი ამბები ხდება, რომ ხელისუფლების შეცდომებიც კი გადაფარა. ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე ამბებზე თქვენ ადრეც საუბრობდით. მწვავედ უპირისპირდებოდით ნიკა მელიას.

– ხომ აღმოვჩნდი მართალი?! რას ვამბობდი არასწორს?!

– მელია აცხადებს, რომ კლანური მმართველობა სურს კეზერაშვილს, რომ ის ოლიგარქია. რა ხდება?

– მე მიხარია, რომ მელიას მხილება სწორედ თქვენთან და თქვენი გაზეთის საშუალებით დავიწყე. ამ ყველაფერზე „ახალ თაობაში“ რამდენიმე თვით ადრე ვსაუბრობდი. მე ამას ნიშნის მოგებით არ ვამბობ, რაც ვიცოდი და რა ინფორმაციაც მე მქონდა, იმას ვსაუბრობდი. მე აღმოვჩნდი მართალი. ერთი წლის წინ, 10 ნოემბერს, როდესაც მე ვაკეთებდი აქციას, სააკაშვილი რომ ჩამოვიდა, პირველი ასეთი გაშიფრული დარტყმა მაშინ მივიღე ნიკა მელიასგან.

– რას გულისხმობთ?

– ნიკა მელიამ, პირდაპირი მნიშვნელობით, დიდი წვლილი შეიტანა, რომ 10 ნოემბრის აქცია არ შემდგარიყო. ეს ნიკას უმნიშვნელოვანესი და უმსხვილესი „დამსახურება“ იყო. მერე, 14 ნოემბერს ჩაატარა აქცია და ხალხი გაუშვა სახლში. იმ დღეს ვიხუმრე კიდეც, თეა წულუკიანმა გამოიცნო და ნიკა მელია ვერ დავაჯერე ვერაფრით-თქო. თუკი ხელისუფლების შეცვლა გინდა, მაშინ სხვა სტრატეგიით უნდა იმუშაო. მაშინ სჯეროდათ გარკვეულ ადამიანებს, ნიკა ამას აკეთებს და პასუხისმგებლობა აქვს. პასუხისმგებლობა ყველას გვაქვს. მე რომ ვლაპარაკობ და მოვუწოდებ ხალხს რუსთაველზე გამოსვლისკენ, უკაცრავად და ყუმბარა გავხსნათ და შევარდეთ-თქო, იმას კი არ ვამბობ. განა ყუმბარაზე უფრო დიდი ძალა არა აქვს ხალხის რაოდენობას და იქ დგომას?!

– ჩვენ ოლიგარქს ვუპირისპირდებით და ერთ ოლიგარქს თუ მეორეთი ჩავანაცვლებთ, ამას რა მნიშვნელობა აქვსო? პირდაპირ, ღიად ურტყამს კეზერაშვილს.

– მე კეზერაშვილის დამცველად ვერაფრით ვერ გამოვდგები. საერთოდ წარმოდგენა არა მაქვს, ვინ არის. ჩემს სიცოცხლეში საერთოდ შემხებლური წერტილიც კი არ მქონია.

– ელენე ხოშტარიას განცხადება ალბათ იცით უკვე? ის ღიად ამბობს, რომ კეზერაშვილი აფინანსებს. ჩნდება კითხვა, ვინც ნიკა მელიას უპირისპირდება, ყველას ხომ არ აფინანსებს კეზერაშვილი? ხომ შესაძლებელია, ეს კითხვა თქვენი მისამართითაც წამოვიდეს?

– სწორედ ამიტომ დავიწყე ამით, რომ არანაირი შემხებლობა კეზერაშვილთან არ მაქვს. წარმოდგენაც კი არა მაქვს ამ ადამიანზე. ამიტომ თამამად შემიძლია ვისაუბრო ამ თვალსაზრისით. კი ბატონო, გუშინ მეც ვნახე ელენეს განცხადება და პრაქტიკულად მან დაადასტურა, რომ პარტნიორები არიან.

– რომ აფინანსებს კეზერაშვილი.

– დიახ და გავაგრძელებ კიდეც მასთან თანამშრომლობასო. მე კი თამამად გეტყვით, რომ ჩემთან დაკავშირებით რაიმე მსგავსიც კი არ არსებობს. ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. ამიტომ მე შემიძლია ობიექტურად შევაფასო სიტუაცია. დასავლეთმა, ივანიშვილი შეიყვანა ოლიგარქების იმ ყბადაღებულ სიაში. ამ დროს, ოპოზიციის ლიდერი, მსხვილი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარე, რომელმაც, 29%-იდან 8%-მდე დაიყვანა პარტია, გამოდის და ამბობს, რომ თურმე, ოპოზიციას აფინანსებს პრაქტიკულად ვინმე ოლიგარქი. ობიექტური თვალით ეს ხომ სასაცილოდ ჟღერს?!

„ერთი წლის წინ, 10 ნოემბერს, როდესაც მე ვაკეთებდი აქციას, სააკაშვილი რომ ჩამოვიდა, პირველი გაშიფრული დარტყმა მაშინ მივიღე ნიკა მელიასგან“

– რატომ ჟღერს სასაცილოდ? თუკი ოლიგარქია კეზერაშვილი, არ უნდა ითქვას?

– და როდის შეიტყო ამის შესახებ მელიამ? ახლა? დღეს? როდესაც სამი თვის წინანდელი განცხადებაა მელიასი, რომ მე მას პარტნიორად ვთვლიო. ამიტომ ეს ყველაფერი ბადებს ეჭვს. ძალიან დიდ ეჭვს.

– საით მიანიშნებთ? რა ხდება? ვერ მორიგდა მელია და კეზერაშვილი?

– მე უფრო სიღრმეებში წავალ. ვიდრე კეზერაშვილზე ალაპარაკდებოდა მელია, მე მანამდე მქონდა მასთან პრეტენზიები და ამის დასტური თუნდაც ჩვენი ინტერვიუებია. სულ არ ახსენებდა არავინ კეზერაშვილის გვარს, მე რომ მას პრეტენზიებს ვუყენებდი. ყველაზე ცუდი ბრძოლაში, რაც შეიძლება ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის ლიდერმა გააკეთოს, ეს არის უძრაობა და სტაგნაცია. მოძრაობას, მოქმედებას, შეიძლება მცდარს, უფრო გაპატიებს ხალხი, ვიდრე უმოქმედობას. როდესაც ასეთი ვითარებაა, მათი პარტიის ლიდერი ციხეში კვდება, მეორე ლიდერი, ნიკა გვარამია დაკავებულია, სააკაშვილის მდგომარეობა ყოველდღიურად მძიმდება, განა ეს იმ პარტიის ლიდერის ბრძოლას ჰგავდა, რაც მას უნდა გაეკეთებინა?! ყველას ახსოვს მისი სიტყვები, მიშაზე უფრო მაგარი მიშისტი ნუ გახდებითო.

2016 წელს, ნაციონალური მოძრაობა გიგა ბოკერიამ გახლიჩა. იმ დროს პარტია ძალიან შესუსტდა. 2016 წელს ნიკა მელია სწორედ ევროპულ საქართველოში გადავიდა, მაგრამ ცოტა ხანში, ისევ უკან მობრუნდა.

– ამით რის თქმა გსურთ?

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბოკერიას კვლავაც ღრმად აქვს ფესვები ნაციონალურ მოძრაობაში გადგმული და იქ თავისი კუდები აქვს. შემდეგ იყო „ძალა ერთობაშია“, გავერთიანდით და მეორე ტურიც დავდეთ. მე მაშინ ძალიან კარგად ვიცოდი, რომ გრიგოლ ვაშაძემ გაიმარჯვა და ახლა ხომ ვისმენთ მათი ყოფილი მაღალჩინოსნის განცხადებას, 20% მოუმატეს სალომე ზურაბიშვილსო. დიახ, ნამდვილად ასე იყო. ხოლო „ძალა ერთობის“ დანგრევაში, უდიდესი წვლილი აქვს ბოკერიას გეგმით, ნიკა მელიას, რომელმაც დააძინა პროცესი.

– ქალბატონო თაკო, დღეს ვისმენთ შეფასებებს, რომ კეზერაშვილი აფინანსებდა ელენე ხოშტარიას, ნაცმოძრაობის რადიკალურ ფრთას და იგეგმებოდა რევოლუცია სოსო გოგაშვილის ჩართულობით. მას უნდა ემხილა ხელისუფლება და ამ ყველაფერს კი კეზერაშვილი დააფინანსებდა. დაფინანსება აღიარა ელენე ხოშტარიამ. თითქოს ამ ყველაფრით ჯაჭვიც იკვრება. რას იტყვით ამაზე?

– გულწრფელად გეტყვით, მე რასაც ვერ ვიტან, ეს არის ჭორი. მე რასაც თქვენ გეუბნებით, ეს არის გადამოწმებული და ზუსტი.

– ელენე ხოშტარიამ ხომ თავად აღიარა ფინანსების ამბავი?

– დიახ, მანდამდე მივდიოდი, რადგან დღეს ელენემ ეს თქვა, პრაქტიკულად ეს ელენემ დაადასტურა და მე ვერ ვიტყვი, რომ ასე არ არის. შესაძლოა, ჰქონდათ მათ ამ საკითხთან დაკავშირებით ურთიერთობა, არ ვიცი. მე პასუხს ვაგებ ჩემს პარტიაზე. საერთოდაც ვარ ბედნიერი იმით, რომ რაღაცნაირად მოვახერხო და ისე გავიარო, რომ ამდაგვარ რაღაცებში არ გავერიო.

– ანუ გოგაშვილის ხელით რევოლუცია არ შედგა?

– აი ეს კიდევ ცალკე თემაა, გოგაშვილის თემა. არ მივცემ თავს უფლებას, ჭორის დონეზე შეფასებები გავაკეთო.

– როგორ ფიქრობთ, შეძლებენ პარტიაში ნიკა მელიას გადაყენებას? აღარ იმალება, რომ მისი გადაყენება უნდა მერაბიშვილს და კეზერაშვილს.

– იცით რა, ისეთი ფეხი ჩატოვა 2016 წლის შემდეგ ბოკერიამ, იქ თავის ხალხი დატოვა, რომ შეიძლება გაუჭირდეთ მისი გადაყენება. თუმცა მე მაინც მართლაც იდეალისტი და კარგი ამომრჩევლის იმედი მაქვს, რომელიც ამ პარტიას ჰყავს. დროა, მელიამ ჩართოს თავის აღზრდა, ოჯახიშვილობა, გამოვიდეს და თქვას, რომ გაუჭირდა ამ პარტიის ლიდერობა და გადადგეს.

– ქალბატონო თაკო, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილს სასჯელი გადაუვადდება და ევროპულ კლინიკაში გადაიყვანენო. რამდენად შეეფერება სიმართლეს ეს ინფორმაცია?

– დიახ, მე და რამდენიმე ადამიანმა ვიცით ეს ინფორმაცია. მეც მქონდა ეს ინფორმაცია, მე მგონი, ყველაფერი ასე დასრულდება.

მიხეილ სააკაშვილი: „58-ე არმია, რომელიც 2008 წელს შემოვიდა საქართველოში, მთლიანად განადგურებულია უკრაინელების მიერ“

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს:

– 58-ე არმია, რომელიც 2008 წელს შემოვიდა საქართველოში, მთლიანად განადგურებულია უკრაინელების მიერ და რუსეთის მეთაურობამ გამოაცხადა მისი დაშლა. ხერსონის გარეშეც რუსული დაჯგუფება პრაქტიკულად დაშლილია და ეხვეწება მოსკოვს გაყვანას, მაგრამ მათ პუტინის ბრძანება აქვთ, რომ ბოლომდე იდგნენ. ეს გარდაუვლად მიგვიყვანს ათასობით ოკუპანტის ტყვედ აყვანამდე, ცოცხალი ტექნიკის ხელში ჩავარდნამდე და ხარკოვზე უფრო მასშტაბურ რუსულ მარცხამდე.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

2024 წელშიც „ოცნება“ მოვა, თუ ასე გაგრძელდა

ლევან ალაფიშვილი: „გასაოცარია ოპოზიციის ასეთი მდორე და მოდუნებული მდგომარეობა“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, პაატა მანჯგალაძის განცხადებით, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს აწყობს საუბარი იმაზე, რომ ოპოზიცია გასაცოდავებული და გაპარტახებულია. რამდენად შეუძლია ოპოზიციას რეალური ალტერნატივის შექმნა?

– საქართველოში პარტიული სისტემა კრიზისში რომ არის, ეს ვინმესთვის ახალი ამბავია?! ან პარტიები გაუმჭვირვალედ არადემოკრატიულად რომ ადგენენ საარჩევნო სიებს, ესეც ხომ არ არის ახალი ამბავი?! ამაზე ღიად საუბარი სირცხვილი კი არ არის, სასწრაფოდ არის გამოსასწორებელი. სწორედ პარტიული სისტემის გამართულად მუშაობა, დემოკრატიული სისტემის შექმნა არის წინაპირობა სახელმწიფოს დემოკრატიული მართვის. ნაციონალურ მოძრაობაში რაც ახლა ხდება, კრიზისია, აბა სხვა რა არის?! თუ სხეულის სასურველ ტემპერატურას არ გვიჩვენებს თერმომეტრი, თერმომეტრი კი არ უნდა დავამტვრიოთ, უნდა ვიმკურნალოთ. ეს ხომ ელემენტარული ჭეშმარიტებაა.

პარტიები, რომლებიც აბსოლუტური უმრავლესობით მოდიან ხელისუფლებაში და შემდეგ შეეზრდებიან ბიუროკრატიულ მანქანას, იქ დემოკრატიულ მმართველობაზე საუბარი ზედმეტია. დღემდე ყველა პარტია ასე შეეზარდა სახელმწიფო ბიუროკრატიას და, როგორც ჩანს, მომავალშიც იგივეს აპირებენ, ამიტომ არ ცვლიან, როგორც ჩანს, მახინჯ პარტიულ სისტემას.

– ახალ კოალიციაზე იყო საუბარი, რომელიც პროდასავლელებს, ევროპული მიმართულების პარტიებს გააერთიანებდა. როგორ ფიქრობთ, რამდენად არის შესაძლებელი?

– სკეპტიკური განწყობა მაქვს, რადგან როდესაც საქმე საქმეზე მიდგება და რეალური კოალიცია უნდა შეიქმნას, მაშინ ასეთი პარტიის ლიდერებს, პარტიის, რომელიც არ დგას დემოკრატიული მართვის სტილზე, უჭირთ ხოლმე ლიდერობის დათმობა, საკუთარი ამბიციების დათმობა. ამიტომაც მაქვს ასეთი სკეფსისი და არა მხოლოდ მე, ასეთი ნიჰილისტური განწყობები არის ამომრჩეველშიც და ეს ჩანს ხშირად სოციოლოგიურ კვლევებში.

2024 წლის არჩევნების წინ, არ არის გამორიცხული, ძალიან საინტერესოდ განვითარდეს მოვლენები, მაგრამ ვერ ვხედავ სათანადო ენთუზიაზმს ვერც მმართველ პარტიაში და რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ვერც ოპოზიციაში. „ქართულ ოცნებაში“ რომ არ იყოს ასეთი ენთუზიაზმი, გასაგებია, ობიექტურად თუ ქვეცნობიერად, ისინი ალბათ ხვდებიან, რომ კიდევ მორიგ ჯერზე, ათწლიანი მმართველობის შემდეგ, ალბათ ძალაუფლების შენარჩუნება და ერთპარტიული მმართველობა, წარმოუდგენელია. თუმცა, გასაოცარია ოპოზიციის ასეთი მდორე და მოდუნებული მდგომარეობა.

– რა შეიძლება ამ ინერტულობის მიზეზი იყოს?

– გაუგებარია. სიმართლე გითხრათ, ობიექტურ ახსნას ვერ ვუძებნი. წინასაარჩევნო კამპანია, თუ რა ტიპის პოლიტიკური აქტიურობა, უკვე დაწყებული უნდა ჰქონდეს ოპოზიციას. ზაფხული გასაგებია, რომ პოლიტიკურად მკვდარი სეზონია, მაგრამ იმდენი პრობლემაა, იმდენი საკითხი დგას სახელმწიფოს წინაშე, ასეთი პასიურობა წარმოუდგენელია.

ახლა უნდა იყოს საუბარი საკონსტიტუციო ცვლილებებზე, საარჩევნო სისტემის ცვლილებაზე, საარჩევნო ბარიერის დაწევაზე. ეს ის საკითხებია, რომელზეც „ქართული ოცნება“ არ დაიწყებს თავისი ნებით საუბარს. მათ წინაპირობა უკვე წაუყენეს ევროკავშირს, თუ რა შემთხვევაში შეცვლიან კოდექსს.

– უშვებთ იმას, რომ „ქართული ოცნება“ კვლავ მოვიდეს ხელისუფლებაში, მაგრამ ამჯერად, როგორც 2012 წელს, კოალიციურად?

– რა თქმა უნდა. ეს ყველაზე რეალურია ამ გადმოსახედიდან. შექმნიან სატელიტ ოპოზიციურ პარტიებს და მათთან შექმნიან კოალიციას პარლამენტში და იტყვიან, როგორ დემოკრატიულად მართავენ ქვეყანას ოპოზიციურ პარტიებთან ერთად. გაუჭირდებათ თუ რა! კვაზი ოპოზიცია იქნება ამისთვის შექმნილი.

– დღევანდელი ოპოზიცია კი შეიძლება თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეს?

– დიახ, თუ ეს ოპოზიცია ასე გააგრძელებს, ამ რეალობის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ და არა მხოლოდ თვითონ, ქვეყანა. ამაზე უნდა დაფიქრდნენ. „ქართული ოცნება“ „მიუჩენს“ ასეთ ადგილს იმ ოპოზიციას, რომელიც მას აწყობს და ვითომ გამართავს მოლაპარაკებებს და მიაღწევს შეთანხმებას, რასაკვირველია, ბრჭყალებში. ასეთი როლების დარიგება და მორგება „ოცნებას“ არ გაუჭირდება.

– ოპოზიციის აქტიურობაზე საუბრობდით. კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ?

– კონკრეტულ პრობლემაზე უნდა გამოვიდეს და თავისი ერთიანი, შეთანხმებული, ალტერნატიული ხედავ უნდა დადოს. არ მგონია სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით შეუძლებელი იყოს შეთანხმების მიღწევა და ასეთი ხედვის წარმოდგენა. ასევე, არ მგონია ძალიან რთული იყოს შეთანხმების მიღწევა თუნდაც საპარლამენტო კონტროლზე, რომელიც უმნიშვნელოვანესია საპარლამენტო რესპუბლიკაში. კიდევ არის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც პოლიტიკურ გემოვნებას არ ექვემდებარება. ეს არის ის საერთო წერტილები, რომელზეც შეუძლია ერთიანი პოზიციითა და ხედვით ოპოზიციას გამოსვლა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „მკაფიოდ მინდა განვაცხადო, რომ საქართველო იმსახურებს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს“

პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაერო-ს 77-ე სესიის გენერალურ დებატებზე სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და მისი 20% ოკუპირებულია.

– ჩემთვის დიდი პატივია, ქართველი ხალხის სახელით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას კიდევ ერთხელ მოგმართოთ.

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ 77-ე სესიაზე და ვაანალიზებთ სადამფუძნებლო პრინციპებსა და იმ პროგრესს, რომელსაც ჩვენ, საერთაშორისო საზოგადოებამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის დღიდან მივაღწიეთ. 1946 წელს, პირველ სესიაზე, დამფუძნებლებმა დადეს პირობა, რომ გლობალური მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად გაერთიანდებოდნენ.

2008 წელს ჩემს ქვეყანაში შემოიჭრა რუსეთი, რამაც ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტის მიმდინარე ოკუპაცია გამოიწვია. იმ ეტაპზე, საერთაშორისო თანამეგობრობამ აღიარა ეს აგრესია, თუმცა, ვისწავლეთ, რომ მსოფლიო დემოკრატიებმა ერთად უნდა იმოქმედონ თავისუფლებისა და მშვიდობის გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იმისათვის შეიქმნა, რომ მომდევნო თაობები ომის უბედურებისგან ვიხსნათ და სახელმწიფოების სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა დავიცვათ. ეს ჩვენი მოვალეობა და დაპირებაა.

დღეს მაქვს პატივი, წარმოვადგენდე საქართველოს, ჩვენს ძლიერ, ამაყ და თავისუფლებისმოყვარე ერს, რომელმაც შეინარჩუნა თავისი სათუთი მემკვიდრეობა და ისტორია, თან განვითარდა და მოერგო 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკურ რეალობას.

ოცდაათი წლის წინ საქართველო გაერთიანებული ერების ოჯახის წევრი გახდა. დღეს, კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გააზრებული გვაქვს ჩვენს რეგიონსა და მთელ მსოფლიოში საერთო ღირებულებების დაცვის ვალდებულება, რომელიც ვიკისრეთ.

ყველა შესაძლებლობას ვიყენებთ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით მშვიდობის სფეროში წინსვლის მისაღწევად. ამ კუთხით, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციის მიერ ევროკავშირის შუამავლობით ხელმოწერილი 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების უზრუნველსაყოფად. საქართველო აფასებს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერას მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ქვეყანა რუსეთის ოკუპაციის ქვეშ რჩება, ამ რთულ გამოწვევას არ ვაძლევთ ჩვენი არსის განსაზღვრის უფლებას. სწორედ ამ მიზეზით, ვაგრძელებთ ზედა წონით კატეგორიაში ასპარეზობას და მუდმივად ვცდილობთ საერთაშორისო თანამეგობრობის საქმეში წვლილის შეტანას.

პრემიერის განცხადებით, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია დასავლური კურსი და პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობა.

– 2012 წელს, ჩვენი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, ვახორციელებთ ამბიციური რეფორმების დღის წესრიგს, რომელმაც დაგვაახლოვა მთავარ საერთაშორისო პარტნიორებთან – ევროკავშირთან, შეერთებულ შტატებთან, ნატოსა და გაეროსთან. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, საქართველომ პირველად გაიარა მშვიდობის, კეთილდღეობისა და სტაბილურობის უპრეცედენტო ათწლეული.

შეერთებულ შტატებთან და ევროპასთან უფრო მეტად დაახლოების პარალელურად, ძალისხმევას მივმართავთ დემოკრატიული ტრანსფორმაციის გაგრძელებისკენ. გაზრდილი ევროატლანტიკური და ევროპული ინტეგრაცია ჩვენი გზაა ევროპული ერების ოჯახში დაბრუნებისკენ, რომლებთანაც ვიზიარებთ ისტორიას, კულტურას და, რაც მთავარია, ღირებულებებს.

პრემიერის განცხადებით, ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობისთვის ყველაფერი კეთდება და ამას საქართველო იმსახურებს.

– წელს გავაკეთეთ განაცხადი ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობაზე.

საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების შესახებ ევროპული საბჭოს ისტორიულმა გადაწყვეტილებამ ახალი სამიზნე ორიენტირები დასახა. ისევე, როგორც წარსულში, საქართველო გადაჭარბებით შეასრულებს მათ.

ევროკავშირში გაწევრიანების შესაძლებლობა ძლიერი მოტივაციაა ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეებისთვის. სრულად ვაცნობიერებთ, რომ ევროპულ პერსპექტივას მოჰყვება უზარმაზარი პასუხისმგებლობა ევროკავშირთან უმაღლესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი თავსებადობის კუთხით. საქართველომ მყისიერად მოახდინა რეაგირება ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებაზე და ევროკავშირის 12 პრიორიტეტის შესრულების სამოქმედო გეგმა წარმოადგინა.

მკაფიოდ მინდა განვაცხადო, რომ საქართველო იმსახურებს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს, რომელიც საბოლოოდ მასში გაწევრიანებას მოგვიტანს და თაობათა ოცნებას რეალობად აქცევს.

შევიმუშავეთ გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული ხედვა, პოლიტიკის მთავარი დოკუმენტის სახით, რომელიც 2030 წლისთვის ზოგადი განვითარების ძირითად დირექტივებსა და პრიორიტეტებს მოიცავს და სრულად შეესაბამება გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგს.

ირაკლი ღარიბაშვილი რუსეთ-უკრაინის ომსაც შეეხო.

– ომი კვლავ მიმდინარეობს, ჩემი ქვეყნიდან არცთუ ისე შორს. უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი ომი ძირს უთხრის ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, ისევე, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიას და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს.

საქართველო დგას უკრაინის გვერდით. ომის დაწყების დღიდან, ჩვენმა მთავრობამ მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული დახმარება აღმოუჩინა უკრაინას, როდესაც 1000 ტონაზე მეტი ტვირთი გაუგზავნა მას. საქართველო უზრუნველყოფს ფინანსურ დახმარებას ამჟამად ჩვენთან მცხოვრები 32 ათასზე მეტი უკრაინელისთვის და მათ დაბინავებას.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში 1.500-ზე მეტი უკრაინელი მოსწავლეა ჩარიცხული. ბევრი მათგანი ცოდნას უკრაინულ ენაზე იღებს სტანდარტული უკრაინული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ჩვენ წამოვაყენეთ, შევუერთდით ან მხარი დავუჭირეთ ყველა მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ინსტიტუტის მიერ უკრაინის მხარდასაჭერად წამოყენებულ თითქმის 400 რეზოლუციას, განცხადებას, ერთობლივ პოზიციას და სხვა ინიციატივებს, მათ შორის, ვიყავით უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის აგრესიის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ გაეროს ასოციაციის 76-ე რეზოლუციის მთავარ მხარდამჭერებს შორის.

პრემიერის განცხადებით, ყველაფერი კეთდება რეგიონში სტაბილიზაციისთვის.

– რეგიონში არსებული რთული ვითარების მიუხედავად, ძალისხმევას არ ვიშურებთ მეზობლებს შორის ურთიერთობის მოგვარებისთვის. წარმატებული შემთხვევები უკვე გვქონდა. მათ შორისაა 15 სომეხი სამხედრო ტყვე, რომელთა უსაფრთხო დაბრუნება მოხდა აზერბაიჯანის დანაღმული ტერიტორიების რუკების სანაცვლოდ.

მიმდინარე წლის ივლისში, თბილისში ვუმასპინძლეთ აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ნაყოფიერ დისკუსიებს. მზად ვართ, მოვიაზრებოდეთ დიალოგის ცენტრად, რათა ესოდენ საჭირო მშვიდობა და სტაბილურობა დამკვიდრდეს ჩვენს რეგიონში.

ამ განზრახვით, საქართველო ხელს უწყობს მშვიდობიან სამეზობლო ინიციატივას, რომელიც სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს მონაწილეობას ითვალისწინებს. ის არ ანაცვლებს და არც ეწინააღმდეგება ან უპირისპირდება თანამშრომლობის სხვა ფორმატებს. სამაგიეროდ, საქართველო იმედოვნებს, რომ იქნება პატიოსანი შუამავალი, რომელიც დაეხმარება რეგიონული ურთიერთობების ნორმალიზებას.

ჩვენი მიზანია სამხრეთ კავკასიის გარდაქმნა შესაძლებლობებისა და ეკონომიკური ზრდის რეგიონად.

მთავრობის პრიორიტეტი განათლებაა და ამ მხრივ სერიოზული ინვესტიციები ხორციელდება

– საქართველოში, ჩვენი მთავრობა მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებს განათლებაში, საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეკოლოგიაში, რათა მომავალმა თაობებმა კეთილდღეობაში იცხოვრონ. განათლების სისტემა გადამწყვეტია წარმატებული და პროდუქტიული საზოგადოებების გაძლიერებისათვის. 21-ე საუკუნეში განათლება ნიშნავს ინვესტირებას ციფრულ წიგნიერებაში და ინფრასტრუქტურის ხელშეწყობას ციფრული წყვეტის ამოსავსებად, რათა მომავალმა კრიზისებმა, იქნება ეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მშვიდობისა თუ კლიმატის ცვლილების სფეროში, არ შექმნას სავალალო სიტუაცია.

დაბოლოს, მჯერა, რომ ერთობლივი ძალისხმევით მშვიდობასა და კეთილდღეობას დავუბრუნებთ ჩვენს სახლებსა და ქვეყნებს. ეს არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სულისკვეთება და მანდატი დაარსების დღიდან, რომ მხარი დაუჭიროს და უზრუნველყოს მშვიდობა და თანამშრომლობა.

ვამაყობ, რომ დღეს თქვენ წინაშე წარმოვადგენ ჩემს ქვეყანას. დამოუკიდებლობის აღდგენიდან სამი ათწლეულის შემდეგ, ქართული ოცნებები რეალობად იქცევა! ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ჩვენი ერი, რომლის ისტორიაც ათასობით წელს ითვლის, არაორდინარული გამოწვევების ფონზე გახდა გამძლეობისა და წინსვლის მაგალითი. დარწმუნებული ვარ, რომ, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ავაშენებთ უფრო ნათელ, მეტად მშვიდობიან და აყვავებულ სამყაროს დღევანდელი და მომავალი თაობებისთვის.

კინზინგერი: „ბრძნული იქნებოდა, თუ საქართველო ჩაკეტავდა საზღვარს“

ამერიკელი კონგრესმენი ადამ კინზინგერი რუსების საქართველოში უკონტროლო შემოსვლას ეხმაურება:

– ჭკვიანური იქნებოდა თუ საქართველო ჩაკეტავდა საზღვრებს და არ შეუშვებდა რუს ტურისტებს, მოკლევადიან პერსპექტივაში მაინც. ომში წასასვლელად საჭირო ასაკის კაცების შესვლა ამ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვან მოკავშირესთან, ძალიან საშიშია. უნდა დავინახოთ, რომ ეს მსხვერპლია, ტურიზმი მნიშვნელოვანია.

რა სიტუაციაა რუსეთის სამხრეთ რეგიონებში?

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში ბიჭვინთის აგარაკის გარშემო ატეხილ აურზაურს, ასევე შიშს თბილისიდან თითქოსდა საფრთხის არსებობის შესახებ, მობილიზაციის პრობლემა დაემატა. საუბარია რუსეთის ფედერაციაში 21 სექტემბერს გამოცხადებულ ნაწილობრივ მობილიზაციაზე. საქართველოს ამ ოკუპირებულ რეგიონს რუსეთთან ისეთი დოკუმენტები აქვს ხელმოწერილი, რომ რუსეთის მიერ გაჩაღებულ აგრესიაში მონაწილეობის ვალის მოხდა მოუწევს.

დე ფაქტო პრეზიდენტის დავალებით პრემიერმა ანქვაბმა ხელი მოაწერა განკარგულებას სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს აფხაზეთის რესპუბლიკაში მობილიზაციის გაუმჯობესების შესახებ.

ფაქტობრივად, ამის პარალელურად, ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო საგარეო და თავდაცვის უწყებებმა ხალხს გამოუცხადეს, რომ პუტინის მიერ გამოცხადებული ნაწილობრივი მობილიზაცია აფხაზეთს არ ეხება.

სოხუმის ე. წ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ფეიკი უწოდა სოციალურ ქსელებში გავრცელებულ განცხადებებს იმის შესახებ, რომ მობილიზაციას აფხაზეთიც ვერ ასცდება.

რამ ააფორიაქა აფხაზები?

ინალ არძინბას უწყება სიყალბეს უწოდებს სოციალურ ქსელებში აფხაზეთზე განთავსებულ კომენტარს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნიკოლაი პანკოვი აცხადებს, რომ აფხაზეთი მობილიზაციას თავიდან ვერ აიცილებს. განსაკუთრებული მღელვარება ამან გამოიწვია.

ე. წ. საგარეო სამინისტროს განაცხადებით, ეს ფეიკი

ოკუპირებულ აფხაზეთში მობილიზაციის ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფი ამუშავდა

მიზნად ისახავს აფხაზურ-რუსული ურთიერთობის ფონის გაუარესებას.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი აღნიშნავს, რომ მობილიზაცია აფხაზეთსაც ეხება, ვინაიდან აფხაზეთის მოსახლეობა 100%-ით შედგება რუსეთის მოქალაქეებისაგან. პანკოვი იმასაც დასძენს, რომ „საქართველოსთან“ ომის დროს რუსეთმა აფხაზები გადაარჩინა. მისივე განმარტებით, ბრძანების შეუსრულებლობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ყველა მოქალაქეს.

იმაში, რომ პანკოვის გამონათქვამები ფეიკია, დარწმუნებულია აფხაზი ჟურნალისტი ვიტალი შარიაც. მისი თქმით, რუსებს არასდროს უმტკიცებიათ, რომ 1992-1993 წლების ომის დროს აფხაზები გადაარჩინეს. სხვა საქმეა 2008 წლის ომი. შარიას აზრით, თვალშისაცემია ამ ტექსტის არამოტივირებული აგრესია, ბრძანების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის შეხსენება. აფხაზი ჟურნალისტი ასკვნის, რომ ეს ყველაფერი ალოგიკურად გამოიყურება. გაუგებარია, რატომ ამახვილებს ყურადღებას აფხაზეთის რესპუბლიკაზე იმ ქვეყნის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, რომლის სამობილიზაციო რესურსი ათასჯერ აღემატება აფხაზეთისას.

ცნობილია, რომ ოკუპირებულ აფხაზეთს 2014 წელს რუსეთთან ხელმოწერილი აქვს ე. წ. ხელშეკრულება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. ამ ე. წ. დოკუმენტით, ომს, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინაში შეჭრის შემდეგ, მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ გვერდს ვერ აუვლის აფხაზეთიც.

ამაზე საუბრობს აფხაზეთის პარლამენტის, იგივე სახალხო კრების ყოფილი დეპუტატი **ნატალი სმირი.**

მისი სიტყვებით, ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაექვემდებარება აგრესიას, ან შეიარაღებულ თავდასხმას რომელიმე სახელმწიფოს, ან სახელმწიფოთა ჯგუფის მხრიდან, ეს განხილული იქნება მეორე მხარეზე თავდასხმად. ნატალი სმირის სიტყვებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ნაწილობრივი მობილიზაციის ვალდებულება აფხაზეთსაც შეეხება.

გაწვევის მხრივ რა სიტუაციაა რუსეთის ფედერაციის ზოგიერთ სამხრეთ რეგიონში?

ჩეჩნეთის ლიდერის თქმით, ჩეჩნეთმა მობილიზაციის გეგმა (მის გამოცხადებამდე) უკვე გადაჭარბებით შეასრულა.

კადიროვს ამაში ვერავინ შეედავება. კადიროვი უკრაინელების ჩასახოცად ბატალიონებს (მათ ტიკ-ტოკერები შეარქვეს) ჩეჩნეთში ცეცხლითა და მახვილით აგროვებდა. კადიროველები ომში მისი დაწყების დროიდან არიან აქტიურად ჩართული. კადიროვი ზოგ თანამემამულეს დაჭერით დაემუქრა, ზოგს – სოციალური შემწეობის მოხსნით. ასე შეაგროვა ბატალიონები ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნაწილობრივი მობილიზაციაც არ იყო გამოცხადებული. ჩეჩნები, მათ შორის, ევროპიდან ჩასული ჯგუფები, უკრაინელების მხარესაც იბრძვიან. მათი მიზანია, ასევე იჩქერიის დამოუკიდებლობა და კადიროვისაგან დახსნა.

უფლებადამცველი ევგენი კოჩეგინი აღწერს ვითარებას ვოლგოგრადის ოლქში. მათ, ვინც მობილიზაციას ეწინააღმდეგება, ის სამ კატეგორიად ყოფს. უფლებადამცველის თქმით, ერთი ჯგუფი ტოვებს ქვეყანას; მეორე მზადაა ეს გააპროტესტოს, მესამე ემალება სამხედრო კომისარიატებს.

ვოლგოგრადელი უფლებადამცველები ავრცელებენ ინფორმაციას გაწვევის პროცესში დიდი დარვევების შესახებ. მაგალითად, მოსამზადებელ პოლიგონზე (ომში გაგზავნის წინ) გაიყვანეს თადარიგის პოდპოლკოვნიკი, 63 წლის ალექსანდრ ერმოლოვი, რომელსაც დიაბეტი და ტვინის იშემია აქვს.

ასტრახანის ოლქში პროტესტს არ ელის ატრახანელი პოლიტოლოგი **მიხაილ დოლიევი.**

– რუსები მოწამლული არიან ომის პროპაგანდით. ისინი დაიმუხტნენ ომითა და მსხვერპლშეწირვით. რუსეთის მოსახლეობა ღრმადაა დარწმუნებული, რომ უკრაინაში რუსეთის ჯარები უკრაინელებს კი არა, არამედ აშშ-სა და ნატოს ეომებიან. ის, რაც გაგიგიათ ჩრდილოეთ კორეაზე, ის იქნება პუტინის რუსეთში, – ამბობს ოპოზიციონერი პოლიტოლოგი.

კომენტატორები აღიარებენ, რომ ნაწილობრივი მობილიზაცია სინამდვილეში საყოველთაო მობილიზაციაა.

ამაზე საუბრობს პუტინის ოპონენტი, ბიზნესმენი და პოლიტიკოსი ლეონიდ ნევზლინიც.

ლეონიდ ნევზლინი:

– პუტინმა, როგორც ყოველთვის, ახლაც იცრუა. არ არსებობს არანაირი „ნაწილობრივი მობილიზაცია“. არის სრული მობილიზაცია, თუნდაც, ის რამდენიმე ეტაპად განხორციელდეს. მეშვიდე პუნქტი გასაიდუმლოებულია. მასში ნათქვამია, რომ შეიძლება გაიწვიონ არა 300 ათასი, არამედ იმდენი, რამდენის დაფქვასაც პუტინის ომის მანქანა შეძლებს. იმედი მაქვს, ეს სიახლეები ახალ სიცოცხლეს ჩაბერავს რუსეთის ანტისაომარ მოძრაობას ქვეყნის შიგნით.



დაწესდეს შეზღუდვები უკონტროლოდ შემოსული რუსეთის მოქალაქეებისთვის

საქართველოს მოქალაქეები რუსეთ-უკრაინის ომის დროს საქართველოში უკონტროლოდ შემოსულ რუსეთის მოქალაქეებს, ასევე, მათ მიერ ბიზნესის რეგისტრაციას და უძრავი ქონების შეძენას ეხმაურებიან და ამ პროცესებთან დაკავშირებით პეტიციას ავრცელებენ.

– საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ხელს ვაწერთ ამ პეტიციას და ვეთანხმებით მასში ჩამოყალიბებულ და დასაბუთებულ პირობებს, მოვითხოვთ საქართველოს ხელისუფლებისგან, რომელიც ანგარიშვალდებულია ქვეყნის მოსახლეობის წინაშე და პასუხს აგებს მის უსაფრთხოებაზე:

დაუყოვნებლივ შემოიღოს სავიზო რეჟიმი რუსეთთან (და დაუშვას ქვეყანაში მხოლოდ პოლიტიკური მოტივით დევნილი პირები, რომლებიც დაიშვებიან საქართველოში მხოლოდ შესაბამისი გადამოწმებისა და დევნის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში).

დააწესოს მორატორიუმი უძრავი ქონების შეძენაზე რუსეთის მოქალაქეებისთვის.

შეუზღუდოს ოკუპანტი ქვეყნის მოქალაქეებს ეკონომიკური საქმიანობა (და ბიზნესის რეგისტრაცია საქართველოში, რომლის 20% ოკუპირებული აქვს რუსეთს!).

მიგვაჩნია, რომ რუსეთის მოქალაქეებისთვის ამ შეზღუდვების დაწესების შემთხვევაში შემცირდება როგორც საგარეო და შიდა რისკები, ისე პუტინის რეჟიმის მიერ რუსეთის მოქალაქეთა უფლებების დაცვის მოტივით საქართველოში პროვოკაციების მოწყობის რისკი, – წერია მანიფესტში.

რუსეთს ტყვეობაში 2500 უკრაინელი, მათ შორის ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე ჰყავს

რუსეთს ტყვეობაში 2500 უკრაინელი, მათ შორის ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე ჰყავს. ამის შესახებ უკრაინის ვიცე-პრემიერმა ირინა ვერეშჩუკმა BB News Ukrainian-თან ინტერვიუში განაცხადა.

– საუბარია 2500 პატიმარზე. ისინი რჩებიან ტყვეობაში და ყველაზე ცუდი ის არის, რომ იქ მშვიდობიანი მოსახლეობაა. მშვიდობიანი მოქალაქეები ზედიზედ რამდენიმე გაცვლის ფარგლებში არ გაათავისუფლეს, – დასძინა უკრაინის ვიცე-პრემიერმა.

ამასთან, ვერეშჩუკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პატიმრებს შორის ბევრი ქალია.

– ბევრი ქალი რჩება ტყვეობაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ 131 ქალმა დატოვა აზოვსტალი, მაშინ, წარმოიდგინეთ, რამდენი ქალია ტყვეობაში. მხოლოდ რამდენიმე დაბრუნდა. ქალები უნდა განთავისუფლდნენ. მათ საშინლად ეპყრობიან. რუსები მათ შეურაცხყოფენ, სცემენ ჩვენს ქალებს. ისინი აწამებენ ჩვენს ქალებს. მსოფლიომ ჩუმად არ უნდა უყუროს და დააკვირდეს, როგორ კლავენ ჩვენს ქალებს ციხეში, – განაცხადა ვერეშჩუკმა.

გარდა ამისა, მისი თქმით, უკრაინელ მამაკაცებს ჯერ კიდევ აქვთ შესაძლებლობა, დატოვონ რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიები.

– წასვლის შესაძლებლობა არის. სტატისტიკას ყოველ ღამე ვიღებ. კაცები და ქალები მიდიან. კაცები ვასილივკას გავლით მიდიან. დროებით ოკუპირებული ტერიტორიებიდან ყოველდღიურად 1.200-1.600 ადამიანი მიდის – განაცხადა ვერეშჩუკმა.

ქვეყნის ვიცე-პრემიერმა დროებით ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებლებს მოუწოდა, მოერიდონ რუსეთის მიერ ორგანიზებულ ფსევდორეფერენდუმებში მონაწილეობას, რათა მტერს არ დაეხმარონ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მათი უკანონობის დაკანონებაში.

„ხელი გამარტყა რამდენჯერმე“ — მოქალაქე რუს ტურისტებს ცემაში ადანაშაულებს

საქართველოს მოქალაქის, ელისო ჯანაშიას ინფორმაციით, რუსმა ტურისტებმა მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

შემთხვევა თბილისში მოხდა. მისივე თქმით, მან პოლიციას უკვე მიმართა, საქმეზე დაწყებულია გამოძიება.

– ეს მოხდა თბილისი მოლში, ვიჯექი, ვმუშაობდი და ცოტა მოშორებით იჯდა რუსულად მოსაუბრე ჯგუფი, ტურისტები იყვნენ თითქოს. ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და შენიშვნა მივეცი, რომ ცოტა ხმადაბლა ილაპარაკეთ, ვმუშაობ და ხელი მეშლება-თქო. გინებაზე რომ გადმოვიდა, მეც უხეშად ვუპასუხე, უხეშად რომ ვუპასუხე, შეხედეთ ქართველ ნაცისტებს, როგორ იქცევიანო, მაშინ ახლა გაჩვენებ, ნაცისტები როგორები არიან-მეთქი და ჩავრთე უკრაინული სიმღერა.

ხელი გამარტყა რამდენჯერმე, მოქაჩვა უნდოდა, ფეხებს იქნევდა. პოლიციას ვურეკავ, რას აკეთებ-მეთქი, სულ ფეხებზე მკიდია შენი პოლიციაო და ვინც მასთან ერთად იყო, მან უთხრა, მართლა რეკავს, გაჩერდიო და გაჩერდა.

მე დავრეკე პოლიციაში, სანამ პოლიცია მოვიდოდა, ისინი უკვე აიბარგნენ, არ გვცალია შენი პოლიციის ლოდინისთვისო და წავიდნენ. ახლა ველოდები ადვოკატს, ვთვლი, რომ ეს ადამიანები უნდა დაისაჯონ ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, – ამბობს ელისო ჯანაშია.

ლიზ ტრასი: „ჩვენ არ უნდა მოვუსმინოთ პუტინის ყალბ მუქარებს“

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ლიზ ტრასმა განაცხადა, რომ მოკავშირეები მტკიცედ უნდა დადგნენ უკრაინის გვერდით და იგნორირება გაუკეთონ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მუქარებს.

მან მოუწოდა თანამოაზრე დემოკრატიებს, იყვნენ მტკიცენი „ავტოკრატიული რეჟიმების“ წინააღმდეგ.

– ჩვენ არ უნდა მოვუსმინოთ მის ყალბ მუქარას. ამის ნაცვლად, ის, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ, არის, რუსეთზე გავაგრძელოთ სანქციების დაწესება და უკრაინელების მხარდაჭერა, – განაცხადა ბრიტანეთის პრემიერმა.

ტრასის თქმით, პუტინი უკრაინაში შეჭრის ესკალაციას ახდენს, რადგან ის არ ვერ იმარჯვებს.

– ვფიქრობ, ის არ ელოდა თავისუფალი სამყაროს რეაქციის სიძლიერეს, – განუცხადა ტრასმა CNN-ს.

მარტვილში ერთ-ერთი ოჯახი გაქურდეს, წაღებულია დიდი ოდენობით თანხა და ოქროულობა

მარტვილში ქურდობა მოხდა. ანზორ კვაშილავას ოჯახიდან დიდი რაოდენობით თანხა და ოქროულობაა წაღებული.

ოჯახი ამბობს, რომ სახლში თანხა სეიფში ჰქონდათ შენახული. კვაშილავას თქმით, ისინი დაახლოებით 30 წელია სოფლის მეურნეობიდან, ასევე, სხვა შემოსავლებიდან მიღებულ თანხას აგროვებენ.

საღამოს ოჯახის წევრები გვერდით მდებარე სახლში, ნათესავთან იყვნენ წასულები, რა დროსაც ბინაში უცნობი პირები შევიდნენ. მათ სეიფი კუსტარულად დამზადებული ხერხით გატეხეს.

ექსპერტ-კრიმინალისტებმა ადგილზე მუშაობა დაასრულეს. მომხდარზე გამოძიება ქურდობის მუხლითაა დაწყებული.

13 წლის შვილიშვილის მიმართ სექსუალური ძალადობის ბრალდებით, შიდა ქართლში კაცი დააკავეს

არასრულწლოვანზე მომხდარი სავარაუდო სექსუალური ძალადობის მორიგი ფაქტი შიდა ქართლში – პოლიციამ 50 წელს გადაცილებული კაცი 13 წლის შვილიშვილის მიმართ სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააკავა.

სავარაუდო დანაშაული რეგიონის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მოხდა.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება 138-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ სექსუალურ ან სხვაგვარი ქმედების ჩადენას გულისხმობს.

კაცი უკვე დაკავებულია. გორის რაიონულმა სასამართლომ ის წინასწარ პატიმრობაში გაუშვა.

პოლიციას ფაქტი მასწავლებელმა შეატყობინა.

– შვილიშვილმა დაწერა თვითონ. ამ გოგოს უთქვამს სკოლაში და მერე თვითონ სკოლის მასწავლებელს გაუსაჯაროვებია ეს ფაქტი. ამ კაცის გაზრდილია ეს ბავშვი, – ამბობს ადგილობრივი.

დაკავებულის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ მოზარდმა ამბავი პაპაზე შურისძიების მიზნით გამოიგონა.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, დაკავებული წარდგენილ ბრალდებას არ ეთანხმება, საქმეში კი ამ დროისთვის მხოლოდ შვილიშვილის ჩვენება დევს.

იოსებ გოგაშვილის ოჯახის წევრების უძრავ და მოძრავ ქონებას ყადაღა დაედო

ანტიკორუფციული სააგენტოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც გამოძიება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე მიმდინარეობს, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ყადაღა დაედო იოსებ გოგაშვილის, მისი ოჯახის წევრებისა და ახლო გარემოცვის კუთვნილ უძრავ და მოძრავ ქონებას. ამის შესახებ ნათქვამია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, ყადაღა დაედო: თბილისში, კახეთის რეგიონში, ხონის მუნიციპალიტეტში, მარტყოფსა და დაბა ბაკურიანში მდებარე, ჯამში 34 მიწის ნაკვეთს – საერთო ფართით 4.439.260 კვადრატული მეტრი, 4 საცხოვრებელ ბინას და სიღნაღში მდებარე სასტუმროს.

– ყადაღა ასევე დაედო ზემოხსენებულ პირთა მოძრავ ქონებას. კერძოდ, 13 ავტომანქანას, 3 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, 3 ერთეულ მოტოტექნიკას და 15 ცეცხლსასროლ იარაღს.

ხსენებული უძრავი და მოძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულებების დადგენის მიზნით დანიშნულია სასაქონლო ექსპერტიზა, – ნათქვამია ინფორმაციაში.

რუსთავში, საცხოვრებელი კორპუსიდან ახალგაზრდა გოგო გადმოვარდა

რუსთავში, საცხოვრებელი კორპუსიდან 18 წლის გოგო გადმოვარდა. ინფორმაციას „ინფო რუსთავი“ ავრცელებს და წერს, რომ დაშავებული სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა ჯერ კლინიკა „რუსთავში“, შემდეგ „ინგოროყვას“ ჰოსპიტალში გადაიყვანა.

გოგოს ჯანმრთელობის მდგომარეობა დინამიკაში გაუმჯობესებულია.

ქუთაისში პოლიციის მანქანა მსუბუქ ავტომობილს დაეჯახა

ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე საპატრულო პოლიციის მანქანა მსუბუქ ავტომობილს დაეჯახა.

ავტოსაგზაო შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. არსებული ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი მაღალი სიჩქარით მოძრაობდა.

ავარიის შედეგად არავინ დაშავებულა.

რას იხსენებს მამაკაცი, რომელიც გრიგოლ ნარსიას 7 საათის განმავლობაში ფარად ჰყავდა აფარებული

ქუთაისში, საქართველოს ბანკის ფილიალში გამოკეტილი მძევლები იმ 7 საათს იხსენებენ, რომლის გატარებაც თავდამსხმელთან მოუწიათ.

დაზარალებულები ჩვენებებში ჰყვებიან, რომ ფსიქოლოგიურის გარდა, გრიგოლ ნარსია მათზე ფიზიკურადაც ძალადობდა.

სპეცდანიშნულების რაზმის წევრების ბანკის ფილიალში შესვლის მომენტში კი თავდამსხმელი ფარად ერთ-ერთ მძევალს იყენებდა.

ერთ-ერთი მძევალი ჩვენებაში წერს, რომ გრიგოლ ნარსია მძევლებს სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა.

– შემოსვლისთანავე მან დაიყვირა – ძარცვაა, დაწექით ყველა, თორემ მოგკლავთო.

ბანკის თანამშრომელ გოგონას უბრძანა, ფული გამოეტანა მისთვის და იატაკზე დაეყარა.

რომ დახედა, ეცოტავა აღნიშნული თანხა, ამის გამო გაბრაზდა და დაგვიწყო დედის მისამართით გინება. იძახდა, ეს რა არის, რა ცოტა ფულიაო. ითხოვდა ორ მილიონ დოლარს, ნაღდით და არ უნდა ყოფილიყო ყალბი, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთ-ერთ მძევალს მოკლავდა, – წერს ქალი ჩვენებაში.

– ის ილანძღებოდა უშვერი სიტყვებით და იგინებოდა დედის მისამართით. რადგან მისთვის არ მიჰქონდათ თანხა, დავინახე, რომ ხელყუმბარას მოხსნა ე.წ. დამცავი რგოლი და ყვიროდა, ყველაფერს ავაფეთქებო. ყველა ვევედრებოდით და ატირებული ვთხოვდით, რომ დამშვიდებულიყო და მას თანხას აუცილებლად დაუბრუნებდნენ, – წერს ჩვენებაში ერთ-ერთი მძევალი.

„კურიერმა“ მოიპოვა იმ მამაკაცის ჩვენებაც, რომელიც გრიგოლ ნარსიას 7 საათის განმავლობაში ფარად ჰყავდა აფარებული, მაშინ, როდესაც ხელზე კუსტარულად დამზადებული ხელყუმბარა ეკეთა.

– საქართველოს ბანკის შენობაში დავრჩით რამდენიმე ადამიანი, მე ახლოს მიკრული და აფარებული ვყავდი თავდამსხმელს. ვხედავდი, რომ ჩემ წინ არსებულ კართან გარე მხრიდან იდგა სპეცდანიშნულების თანამშრომელი. უეცრად, რაღაც მომენტში, სწრაფად შემოვიდნენ სპეცდანიშნულების თანამშრომლები, რომლებმაც თავდამსხმელს მოჰკიდეს ხელი ორივე ხელზე და არ მისცეს საშუალება, რომ მის ხელებში დაჭერილი ხელყუმბარა და ასაფეთქებელი მოწყობილობის ღილაკი აემოქმედებინა. მე ამ დროს, რადგან სპეცდანიშნულების თანამშრომლებს მისი ხელი ეჭირათ, გავითავისუფლე თავი მისგან და სწრაფად დავტოვე ბანკის შენობა, – წერს მამაკაცი ჩვენებაში.

ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს ჩამორთმეული ბანერის დაბრუნება დაევალა

პარტია „დროას“ წევრმა, მარიამ სიჭინავამ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დავა მოიგო – ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს დაევალა, მისთვის დაებრუნებინა ჩამორთმეული ბანერი წარწერით: „Гарибашвили Иди На *уй!“.

ინფორმაციას პარტია ავრცელებს.

– მარიამ სიჭინავა „დროას“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელია. 28 თებერვალს, პრემიერის მიერ უკრაინის შესახებ გაკეთებული განცხადებების გამო, მან ოფისის ფანჯრიდან გადმოფინა ეს ბანერი, რომელიც პოლიციელების თქმით, შეურაცხყოფდა გამვლელებს, – წერს პარტია.

სიჭინავას პოლიცია წვრილმან ხულიგნობასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას ედავებოდა. მის ინტერესებს სასამართლოში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ იცავდა.

რუსთავი-თბილისის ჩქაროსნულ მაგისტრალზე ავტომობილი დაიწვა

საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ცეცხლი „რენოს“ მარკის მოძრავ ავტომობილს გაუჩნდა. მგზავრებმა და მძღოლმა ავტომობილიდან გადმოსვლა მოასწრეს.

ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო სამსახურისა და პოლიციის ეკიპაჟები.

გეგუთში მსუბუქი ავტომობილი გზიდან გადავარდა

გეგუთში მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა.

მანქანაში 3 ადამიანი იჯდა. მძღოლი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა. მას მძიმე დაზიანებები არ მიუღია. კონტაქტურია ორი მგზავრიც.

ადგილზე სამაშველო და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი იყო მობილიზებული.

სცემეს თუ არა გრიგოლ ნარსიას პოლიციელებმა დაკავების შემდეგ



ბანკის ძარცვის უცნობი დეტალები – „შაბათის ეთერის“ ინფორმაციით, გრიგოლ ნარსიას დაკავების შემდეგ ქუთაისში საგანგებოდ ჩასული შინაგან საქმეთა მინისტრი თავდამსხმელთან შეხვედრას ითხოვს. გომელაური და ნარსია ერთმანეთს პირისპირ ხვდებიან.

ფაქტი „შაბათის ეთერს“ ნარსიას ადვოკატმა დაუდასტურა, მაგრამ უფლებადამცველმა არ იცის, ამ დროს უკვე ნაცემი იყო თუ არა დაკავებული. ადვოკატები ამტკიცებენ, რომ მძარცველს მძიმე დაზიანებები აქვს.

რა ბედი ელის 6 წლის გოგოს, რომლის მამა დაკავებულია, დედას კი შემაკავებელი ორდერი აქვს გამოწერილი

6 წლის გოგონა უკვე ერთი წელია, დედასთან აღარ ცხოვრობს, მიზეზი რამდენიმეა, მათ შორის ისიც, რომ ბავშვის მამა ირანის მოქალაქეა და ამბობს, რომ მისი ქვეყნის კანონის თანახმად, განქორწინების შემდეგ შვილი მამასთან რჩება.

თამარ ნადირაშვილმა შვილის ნახვა შეძლო, თუმცა მისი სახლში წაყვანა ვერ მოახერხა, ყოფილი მეუღლის ოჯახმა ამის უფლება არ მისცა. ადგილზე საჭირო გახდა პოლიციისა და სოციალური მუშაკის გამოძახება.

ურთიერთბრალდებები მშობლებს შორის სასამართლო განხილვის საკითხი არაერთხელ გამხდარა. საქმეს ისიც ართულებს, რომ დედას შვილთან მიახლოება შემაკავებელი ორდერის საფუძველზე აქვს აკრძალული, მიზეზი ძალადობაა. 27 წლის ქალი ბრალდებას ცილისწამებას უწოდებს და უარყოფს, რომ საკუთარ მცირეწლოვან შვილზე ძალადობდა.

რომელ მშობელთან დარჩება შვილი, ეს ყოფილ ცოლ-ქმარს შორის დავის ერთადერთი საკითხი არ არის. ძალადობაში თავის მხრივ ყოფილ მეუღლეს თამარ ნადირაშვილიც ადანაშაულებს. ქალმა ამ პრობლემით სამართალდამცველებს მიმართა და მისი საჩივრის საფუძველზე, ირანის მოქალაქე მამაკაცი ახლა დაკავებულია. აღმკვეთ ღონისძიებაზე გარდაბნის რაიონულ სასამართლოში დღეს იმსჯელეს.

მთავარი პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩება. მამა ციხეშია, დედას კი შვილის წაყვანის უფლებას არ აძლევენ. ბავშვი ამ დრომდე ძიძასთან, მამის ოჯახში ცხოვრობს. ირანის მოქალაქეს კი, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, 10-დან 13 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ავტოავარიას დეკანოზი ალექსი როხვაძე და მისი 8 წლის შვილი ემსხვერპლნენ

ქუთაისი-სამტრედიის გზაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მუქედის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ალექსი როხვაძე ემსხვერპლა, ასევე, ავარიის შედეგად დაღუპულია მისი 8 წლის შვილი.

ქუთაისთან ახლოს, სამტრედიის საგზაო მონაკვეთზე, ერთმანეთს ტრაილერი და მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. მსუბუქ ავტომობილში მყოფი ოთხი ადამიანიდან ორი ადგილზე დაიღუპა.

კიდევ ერთი მოზარდი და ტრაილერის მძღოლი კი კლინიკაში გადაიყვანეს.

ადგილზე მობილიზებული არიან საპატრულო ეკიპაჟები, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

ჩინეთი მხარს უჭერს უკრაინაში კრიზისის მშვიდობიანად მოგვარებას

ჩინეთი მხარს უჭერს ყველა ძალისხმევას, რომელიც ხელს უწყობს უკრაინაში კრიზისის მშვიდობიანად მოგვარებას, – ამის შესახებ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან იმ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა.

მისი თქმით, ჩინეთი თავის მთავარ ამოცანად ისახავს მოლაპარაკებებისა და ისეთი გადაწყვეტილებისთვის ხელის შეწყობას, რომელიც „უსაფრთხოების სფეროში ყველა ქვეყნის ლეგიტიმურ შეშფოთებას“ გაითვალისწინებდა. ვან იმ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩინეთი თანასწორობის მომხრეა და ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ სხვებთან მიმართებით ძალის გამოყენების მცდელობების წინააღმდეგ გამოდის.

– გასათვალისწინებელია ყველა, დიდი და პატარა ქვეყნების ინტერესები, რაც არის გაეროს წესდების ძირითადი პრინციპი. არც ერთი არ უნდა იდგეს სხვაზე მაღლა, არც ერთმა ქვეყანამ ბოროტად არ უნდა გამოიყენოს თავისი ძალა სხვა სუვერენული ქვეყნების დასაშინებლად, – აღნიშნა მინისტრმა.

მისი თქმით, კონფლიქტების მოგვარებაში ჩინეთს საკუთარი მიდგომა გააჩნია.

– ჩვენ ვცდილობთ ცხელი კონფლიქტების მშვიდობიანი საშუალებებით, სამართლიანი და პრაგმატული მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით მოგვარებას, – თქვა ვან იმ.

რუსეთის სპორტულ გუნდებს საზღვარგარეთ გამგზავრება და საწვრთნელ ბანაკებსა თუ შეჯიბრებებში მონაწილეობა აეკრძალათ

რუსეთის ეროვნულ სპორტულ გუნდებს საზღვარგარეთ გამგზავრება და იქ საწვრთნელ ბანაკებსა თუ შეჯიბრებებში მონაწილეობა აეკრძალათ. ინფორმაციას რუსული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „ტასი“ ავრცელებს.

რუსეთის სპორტის მინისტრმა ოლეგ მატიცინმა განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღეს იმისათვის, რათა „გაძლიერდეს ეროვნული სპორტული სექტორი და ჩამოყალიბდეს სპორტული და ეკონომიკური სუვერენიტეტი“.

თუმცა, მედიასაშუალება Inside the Games-ს მიაჩნია, რომ ეს შესაძლოა იყოს წამყვანი ათლეტების დეზერტირობის აღკვეთის მცდელობა.

შეგახსენებთ, გასულ კვირას რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაცია გამოცხადდა, რის შემდეგაც ბევრი მამაკაცი, მათ შორის სპორტსმენი, ქვეყნიდან გაიქცა ან ცდილობს გაქცევას.

როგორც რუსული მედია სამთავრობო წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, ჯარში გაწვევის ასაკის მქონე მამაკაცებს უკრაინის რეგიონებში გამართული ე.წ. „რეფერენდუმების“ შემდეგ აეკრძალებათ რუსეთის დატოვება.

ხერსონში თავდასხმისას უკრაინის პარლამენტის ყოფილი წევრი დაიღუპა

რუსული პროპაგანდისტული მედიის ცნობით, სავარაუდო თავდასხმის შედეგად ხერსონში ორი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის, უკრაინის პარლამენტის ყოფილი პრო-რუსი წევრი ოლექსი ჟურავკო.

ჟურავკომ 23 სექტემბერს გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც ხერსონის ე.წ. რეფერენდუმში „ხმას აძლევდა“. ოკუპანტები მის სიკვდილში უკრაინას ადანაშაულებენ.

ცნობისთვის, ჟურავკო 2006 წლიდან „რეგიონების პარტიის“ ფრაქციის წევრი იყო, 2015 წლიდან კი რუსეთში გაიქცა, სადაც ამ დრომდე ცხოვრობდა. ის ომის დაწყებიდან მხარს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიას უჭერდა.

შეგახსენებთ, მანამდე, 29 აგვისტოს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ხერსონის ოლქში უკრაინის პარლამენტის ყოფილი წევრი და რუსეთთან კოლაბორაციონისტი ოლექსიი კოვალოვიც მოკლეს.

დმიტრო კულება: „ბირთვული რიტორიკა საფრთხეს უქმნის მსოფლიოს და არ შევეგუებით“

პუტინისა და ლავროვის უპასუხისმგებლო განცხადებები ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით აბსოლუტურად მიუღებელია, – ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ „ტვიტერზე“ დაწერა.

უკრაინა მოუწოდებს მსოფლიოს, აუხსნან რუსეთს, რომ ბირთვულ რიტორიკას არ შეეგუებიან.

– უკრაინა არ დანებდება. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ბირთვულ სახელმწიფოს, ხმა აიმაღლონ და აუხსნან რუსეთს, რომ ასეთი რიტორიკა საფრთხეს უქმნის მსოფლიოს და არ შევეგუებით, – აღნიშნა უკრაინის პირველმა დიპლომატმა.

უკრაინა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის გამართვას ითხოვს

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერის ოლეგ ნიკოლენკოს განცხადებით, რუსეთს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს უკრაინის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყალბი რეფერენდუმების ჩატარებისთვის და გაეროს ქარტიის დარღვევით უკრაინის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების შეცვლის მცდელობებზე.

– უკრაინამ გაეროს უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომის გამართვა მოითხოვა უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ყალბი რეფერენდუმებთან დაკავშირებით, – განაცხადა ნიკოლენკომ.

უკრაინული მედიის ცნობით, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სავარაუდოდ სამშაბათს, 27 სექტემბერს გაიმართება.

„მოლოტოვის კოქტეილი“ რუსეთში კიდევ ერთ ადმინისტრაციულ შენობაში შეაგდეს

25 სექტემბერს ღამით ხანძარი გაჩნდა ლენინგრადის ოლქის გაჩინას რაიონში, სიასკელევსკის სოფლის დასახლების ადმინისტრაციის შენობაში.

ცეცხლი ფანჯრიდან შეგდებულმა „მოლოტოვის კოქტეილმა“ გამოიწვია. ხანძრის შესახებ ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების სამინისტროში ადასტურებენ.

მომხდარზე გამოძიება დაიწყო.

რუსეთში, მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, სამხედრო კომისარიატებისა და ადმინისტრაციული შენობებისთვის ცეცხლის წაკიდების ახალი ტალღა დაიწყო. BBC-ის რუსული რედაქცია რუსეთის რუკას აქვეყნებს, სადაც მობილიზაციის შემდეგ ადმინისტრაციულ შენობებში გაჩენილი ხანძრებია აღნიშნული.

ქალეიდოსკოპი

ბავშვის დაბადების დღეზე შევარდნილმა დათვმა პირი ნამცხვრებით ჩაიტკბარუნა

ამერიკის კონეკტიკუტის შტატში დათვი ბავშვის დაბადების დღეზე შეიჭრა, კექსით პირი ჩაიტკბარუნა და იქაურობა კრემით ცხვირპირმოთხუპნულმა დატოვა.

რაუფ და ლორა მაჯიდიანები თავიანთი ორი წლის შვილის დაბადების დღეს სახლის უკანა ეზოში ზეიმობდნენ. მათ მაგიდა პირდაპირ გარეთ ჰქონდათ გაშლილი, რომელზეც პურის კალათა, გაზიანი სასმელების ქილები და პატარა კექსებით სავსე სართულებიანი ღარნაკი იდგა.

ამ სასუნსნავმა მოულოდნელად გარეული ცხოველის, შავი დათვის ყურადღება მიიპყრო. ის მაგიდასთან მივიდა და მაშინვე ტრაპეზს შეუდგა. თვითმხილველების მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ შეექცევა ცხოველი ტკბილეულს, შემდეგ კი მოსვრილი ცხვირპირით იქაურობას ეცლება.

ლორა მაჯიდიანის თქმით, დათვის დანახვაზე სტუმრები შეშინდნენ და სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტნენ. ზოგმა სახლს შეაფარა თავი, ზოგმა – ავტოფარეხს. ქალის მტკიცებით, ცხოველი საერთოდ არ დაინტერესებულა ადამიანებით. მთელი მისი ყურადღება ნამცხვრებისკენ იყო მიმართული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალგაზრდული ნაკრები პორტუგალიასთან დიდი ანგარიშით დამარცხდა

საქართველოს 21 წლამდე ნაკრები, კუვილიაში, ჟოზე დოს სანტოს პინტოს სახელობის სტადიონზე პორტუგალიელ თანატოლებს დაუპირისპირდა და 1:4 დამარცხდა.

უნდა აღინიშნოს, რომ პორტუგალია საკმაოდ ძლიერი გუნდია და ბოლო 25 მატჩში 23 მოიგო, 1 ფრედ ითამაშა და ერთი წააგო. ისიც ევროპის ჩემპიონატის ფინალში გერმანიასთან 0:1 დამარცხდა.

მასპინძლები თავიდანვე უპირატესობას დაეუფლნენ, შეტევაზე გადმოვიდნენ და მე-15 წუთზე ერთ-ერთი ასეთი შეტევა გოლითაც დააგვირგვინეს – ანგარიში პაულუ ბერნარდუმ გახსნა.

ეს ანგარიში დიდხანს არ შენარჩუნებულა. შვიდ წუთში მასპინძლებმა შეტევა ისევ მარცხენა ფლანგიდან განავითარეს, სამუელ კოშტას მიერ შორიდან დარტყმულ ბურთზე თორნიკე მეგრელიშვილმა შეცდომა დაუშვა და...

ქართველმა ახალგაზრდებმა შესვენების შემდეგ სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. 53-ე წუთზე ლუკა გაგნიძემ სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო და მეტოქის ნახევარზე გიორგი მოისწრაფიშვილი მონახა, რომელმაც „მოჭრილი“ დარტყმით შორეულ კუთხეში ეფექტური გოლი გაიტანა, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა...

პორტუგალიელებმა უპირატესობა მაინც გაზარდეს. ისევ მარცხენა ფლანგზე ფაბიუ სილვამ ქართველ მცველს აჯობა და კარის წინ ენრიკე არაუჟუ მონახა, რომელმაც მესამე გოლი იოლად გაიტანა. საბოლოო წერტილი კი, აფონსუ სოუზამ დასვა, რომელსაც საჯარიმოს ხაზთან ხელი არ შეუშალეს და პორტუგალიამ დიდი ანგარიშით გაიმარჯვა – 4:1.

ამით დასრულდა ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების წაუგებელი სერია, რომელიც 2019 წლის 15 ნოემბრიდან, სტუმრად საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან (2:3) წაგების შემდეგ დაიწყო.

სვანაძის გუნდი მომდევნო ამხანაგურ შეხვედრას 27 სექტემბერს სტამბოლში გამართავს. ქაშიმფაშას სტადიონზე, რომელიც თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახელობისაა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თურქ თანატოლებს დაუპირისპირდება.

რამაზ სვანაძე:

– ცუდია, რომ ძალიან კარგი სერია, რომელიც გვქონდა, დღეს შეწყდა. უფრო ცუდი ის არის, რომ თამაში შეიძლება წავაგოთ, მაგრამ ჩვენ ვერ ვითამაშეთ ის ფეხბურთი, რომლითაც ბოლო წლებში თავი დავამახსოვრეთ გულშემატკივარს.

ვეცდებით, რომ ეს წაგება ჩვენ სასიკეთოდ გამოვიყენოთ, სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. ძალიან კარგია, რომ ასეთ გუნდებთან ვთამაშობთ. მიუხედავად მარცხისა, ეს ჩვენთვის არის უდიდესი გამოცდილება, ზუსტად ის გამოცდილება, რომელიც ჩვენ დაგვჭირდება ევროპის ჩემპიონატზე.

ბათუმმა საქმე გამოასწორა

ბათუმი (საქართველო) – თელავივ-ჰითი (ისრაელი) 19:11

ბათუმი. ბათუმი არენა

რაგბი ევროპის სუპერ თასის მესამე ტურში, წვიმიან ამინდში, ბათუმმა შინაურ არენაზე ისრაელის ჰითს 19:11 სძლია და ტურნირში პირველი, ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.

მასპინძლებმა მეტოქეს მეორე ტაიმში სამი ლელო გაუტანეს, თავად ერთი გაუშვეს და ბონუსი ვერ აიღეს. ბათუმი 4 ქულით აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-4 ადგილზე რჩება, მაგრამ ამ გამარჯვებით მოწინავე ორეულში შესვლის შანსი შეინარჩუნა.

წვიმამ და სველმა მოედანმა თამაშს თავისი ხელი დაატყო. ხშირი იყო ტექნიკური წუნი და შეცდომები. სტუმრები პირველ ტაიმში უპირატესობას ფლობდნენ, 24 წუთში ორი ჯარიმა გაიტანეს და 6:0 დაწინაურდნენ. შესვენებამდე მასპინძლებმა შეძლეს მეტოქის შერკინებაში დაჯაბნა და სახიფათო შეტევის განხორციელება, მაგრამ ჰითმა თავის დაცვა შეძლო.

მეორე ტაიმში სიტუაცია შეიცვალა. ბათუმმა შეუტია და რადგან სტუმრები 3 წუთში ბევრჯერ დაჯარიმდნენ, მსაჯმა მეორეხაზელი იური ფანფირები გაასინბინა, 4 წუთში კი, მის გზას ჯასთინ თეისი გააყოლა. ორკაციანი უპირატესობით მასპინძლებმა მალევე ისარგებლეს და 48-ე წუთზე შერკინებამ საჯარიმო ლელო გამოიმუშავა. 52-ე წუთზე ვანო ფუტკარაძემ მეტოქეს ფეხით მოგერიებისას დაუფარა და მასპინძლებმა 5-მეტრიანი დერეფანი გამოიმუშავეს, რასაც მოლი, რაქიდან მიძალებები და ფუტკარაძის ლელო მოყვა. რეზი ჯინჭველაშვილმა გარდასახა.

ჰითმა საპასუხოდ შეგვიტია. 59-ე წუთზე სინბინში მამუკა ნინიძე გაემგზავრა, ერთ წუთში კი მაქმილან მულერმა მოლის შემდეგ გატანილი ლელოთი სხვაობა 3 ქულამდე დაიყვანა. მატჩის მიწურულს ძალისმიერ თამაშში ბათუმის უპირატესობა გამოიკვეთა, 74-ე წუთზე მოლით შეუტიეს და გურამ შენგელიამ ლელო გაიტანა. დარჩენილ 6 წუთში მასპინძლებს ბონუსის მომტანი ლელოს გატანაც შეეძლოთ, მაგრამ არ გამოვიდა და ბათუმმა 19:11 იმარჯვა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალეიდოსკოპი

სპილოებმა მამაკაცი მოკლეს, ხოლო მისი ნათესავები დააშავეს

ინდოეთში სოფელში შეჭრილმა სპილოებმა მოკლეს მამაკაცი, მის სამ ნათესავსა და ორ თანასოფელს კი დაზიანებები მიაყენეს.

ასამის შტატის სოფელ კხაირანიში სპილოების თავდასხმა კვირას, 18 სექტემბერს, გვიან ღამით მოხდა. სპილოების ჯოგი სოფელში მახლობლად მდებარე ტყიდან შეიჭრა. ადგილობრივები შეეცადნენ, გარეული ცხოველები დაეფრთხოთ და სოფლიდან გაედევნათ, მაგრამ ამის პასუხად სპილოები შეტევაზე გადავიდნენ. შედეგად დაშავდნენ რავინდრა ბორო, ჯანპატი ბორო, პარეშ ბორო, სულენდრა ბორო, ასევე ანილ დაიმარი და ტენგონა მუსახარი. ყველა მათგანი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც რავინდრა ბორო გარდაიცვალა. თავდასხმის ერთ-ერთი მსხვერპლი, ანილ დაიმარი, კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

სოფლის მცხოვრებლებმა სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი იმაში დაადანაშაულეს, რომ მისი თანამშრომლები დასახლების გარეული ცხოველების თავდასხმისგან სათანადოდ დაცვას არ უზრუნველყოფენ და ეს, იმის მიუხედავად, რომ სპილოების თავდასხმა რეგულარულად მეორდება.

– ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სპილოები ჩვენს თანასოფელს კლავენ. უკვე ბევრი ადამიანი დაიღუპა, – განაცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა.

შხამიანი შავი მამბა ტუალეტის კედელში გაიჭედა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ პაითაუნის მკვიდრმა გველებზე მონადირემ საცხოვრებელი სახლის ტუალეტის კედელში გაჭედილი შხამიანი გველი, შავი მამბა, გადაარჩინა.

გველებზე მონადირე ნიკ ევანსმა შეტყობინება მიიღო ელექტრიკოსისგან, რომელმაც შავი მამბა სახლის სარდაფში შენიშნა. შემთხვევის ადგილზე მისულმა სპეციალისტმა ქვეწარმავალი კედელში გამავალ მილებს შორის დარჩენილ ღრიჭოში გაჭედილი აღმოაჩინა. ევანსმა გველი კუდით მოქაჩა, შემდეგ კი თავში სტაცა ხელი, მაგრამ მისი გაშვება მოუხდა. ამის შემდეგ ქვეწარმავალი, რომლის სიგრძე დაახლოებით ორ-ნახევარ მეტრს შეადგენდა, მილებს შორის მიიმალა, შემდეგ კი ზევით გაცურდა.

ევანსი სახლში ავიდა, ტუალეტში შესულმა, პატარა კარადა ასწია, რომლის ქვეშაც ხვრელი იყო დაფარული. მამბა უკვე იქ დახვდა. სპეციალისტმა გველის დასაჭერად ამჯერად მაშები გამოიყენა, თუმცა აშკარა იყო, რომ ქვეწარმავალი იქ საფუძვლიანად გაიჭედა და მისი იქიდან გამოყვანა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ევანსი მთელი საათი ცდილობდა შავი მამბას ხვრელიდან გამოყვანას. საბოლოოს მან ეს დაცვის თანამშრომლის დახმარებით მოახერხა. სპეციალისტმა ქვეწარმავალი უსაფრთხო ადგილას გადაიყვანა და გაუშვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველო ბ დივიზიონში დაწინაურდა, წინ ევროპაა

საქართველო-ჩრ. მაკედონია 2:0

თბილისი. დინამო არენა

1:0 მიოვსკი (35სკ), 2:0 კვარაცხელია (64)

საქართველო: მამარდაშვილი, კვირკველია, კაშია, ხოჭოლავა (ლოჩოშვილი 72), კაკაბაძე, კვეკვესკირი, აბურჯანია (მამუჩაშვილი 87), წიტაიშვილი (აზაროვი 72), კვარაცხელია, დავითაშვილი (მექვაბიშვილი 78), ზივზივაძე (მიქაუტაძე 78)

ჩრ. მაკედონია: დიმიტრიევსკი, ალიოსკი, ველკოვსკი (სერაფიმოვი 72), მუსლიუ, ზაიკოვი, აშკოვსკი (ტოდოროვსკი 68), სპიროვსკი (ტრაიკოვსკი 68), ბარდი (ელიზი 84), ელმასი, რისტოვსკი (ატანასოვი 73), მიოვსკი

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ერთა ლიგის ც დივიზიონის მეოთხე ჯგუფის გამარჯვებულია. ბოლოსწინა ტურის შეხვედრაში ვილი სანიოლის გუნდმა თბილისში, დინამო არენაზე, ჩრდილოეთ მაკედონიას 2:0 სძლია. ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრებმა ბ დივიზიონის საგზურთან ერთად ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ფლეი ოფის ნახევარფინალში თამაშის უფლებაც მიიღო.

საქართველოს ნაკრებმა მოუგო პრინციპულ მეტოქე ჩრდილოეთ მაკედონიას. გუნდს, რომელმაც 2 წლის წინ ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება ამოგვაცალა.

ეს იყო საქართველოს ნაკრების, 150-ე ოფიციალური მატჩი. ისტორიული იმით, რომ ჩვენი გუნდი მომდევნო სეზონს ბ დივიზიონში დაიწყებს.

გარდა ამისა, საქართველოს ნაკრებს ორი ნაბიჯი დარჩა სანუკვარ მიზნამდე. ფლეი ოფში ორი წარმატებული მატჩი და 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვითამაშებთ.

საქართველოს ნაკრებს ეს ძალუძს. თუმცა, ჯერ ნუ ვილაპარაკებთ პოტენციურ მეტოქეებზე, რადგან ძალიან ბევრი ვარიანტია. ერთია, ჩვენი გუნდი, თუ სასწაული არ მოხდა, ფლეი ოფის ნახევარფინალს თბილისში ჩაატარებს.

ერთია, საქმე სათუოდ არ უნდა გავიხადოთ და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა კლასიკური შესარჩევი ციკლიდანაც უნდა ვცადოთ.

ვილი სანიოლის გუნდმა რეკორდიც გაიმეორა – ნაკრებს უკვე 10 მატჩია (8 მოგება, 2 ფრე) არ წაუგია ფაქტია. თემურ ქეცბაიას დროს გუნდმა 5 მოიგო და 5 ფრედ ითამაშა.

მოვიგეთ, მაგრამ კარგი თამაში არ გვქონია. თავად ვილი სანიოლმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ მეტოქისთვის ცენტრი დათმობას არ ვაპირებდით, მეტოქემ გვაიძულაო. რა ჰქონდა ფრანგ სპეციალისტს ჩაფიქრებული ვერ გეტყვით, მაგრამ მაკედონიელთა მწვრთნელმა ამ კუთხით აჯობა.

საქართველოს ნაკრებს არ ჰქონდა ბურთი და ძირითადად სწრაფი კონტრშეტევების იმედად იყვნენ. მაკედონიელებს მეტი კლასი რომ ჰქონოდათ, დაგვსჯიდნენ.

რაც დრო გადიოდა, მეტოქე უფრო იხსნებოდა და მათ დაცვაში ხვრელებიც გაჩნდა. ეს კი ხვიჩა კვარაცხელიას წინააღმდეგ არ შეიძლება. ხვიჩამ ნაკრების პირველი გოლი არაფრისგან შექმნა – ინდივიდუალურად კარგად ითამაშა და ბოიან მიევსკის საკუთარ კარში შეაგდებინა.

მეორე გოლისას დიდებულად ითამაშა ბუდუ ზივზივაძემ – თავდამსხმელმა ბურთი მოედნის ცენტრში ჩაჭრა, საჯარიმომდე ირბინა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა უკეთეს პოზიციაში მყოფ კვარაცხელიას უპასა, რომელმაც ცარიელ კარში შეაგდო.

ცხადია, მისალოცი ამბავია. ყოჩაღ ჩვენ ბიჭებს! ამ შესარჩევში მხოლოდ ერთხელ დაკარგეს ქულები ბულგარელებთან, დანარჩენი ოთხი მატჩი კი მოიგეს. თუმცა, ერთი რამ გვაშფოთებს, პირველ ნომრად თამაში რომ გვიჭირს, ეს ამჯერადაც დამტკიცდა. ბურთის ფლობა 59-41 %-ზე, სტუმართა სასარგებლოდ.

ვილი სანიოლი:

– მეტოქემ, წინა მატჩებთან შედარებით, განსხვავებული სისტემით ითამაშა და ახალი ტაქტიკისთვის მოსარგებად გარკვეული დრო დაგვჭირდა. რამდენიმე ფეხბურთელმა თამაშის პირველ წუთებზე ზედმეტი წნეხი იგრძნო, რადგან პირველ პოზიციაზე ვიყავით და მეტოქეს აუცილებლად სჭირდებოდა ჩვენი დამარცხება. გოლის შემდეგ, გუნდი ბევრად თავისუფლად ათამაშდა, მეტი თავდაჯერება ვიგრძენით. როგორც ვთქვი, ჩრდილოეთ მაკედონია ძალიან კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული, ძლიერი გუნდია და ნორმალურია, რომ მატჩის გარკვეულ მონაკვეთებში მათ ჰქონდათ უპირატესობა. მნიშვნელოვანია, რომ დაცვაში სტაბილურობა არ დაგვიკარგავს და ეს მატჩი იმის მაგალითია, რომ გუნდმა ისწავლა სირთულეების დაძლევა. საწყისი წუთები კარგი ნამდვილად არ იყო, თუმცა მთლიანობაში ძალიან კმაყოფილი ვარ.

გიბრალტარის წინააღმდეგ გასამართ მატჩთან დაკავშირებით ჯერჯერობით არაფერი მაქვს გადაწყვეტილი. უნდა დავაკვირდე მოთამაშეებს, მათი ფიზიკური კონდიციების აღდგენას მომდევნო საათებში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია და 3 ქულა გვჭირდება, რათა ფლეი ოფში გარკვეული უპირატესობა გვქონდეს. იმ შემთხვევაში, თუ ვიგრძნობ, რომ 5-6 ფეხბურთელია შესაცვლელი, ამას აუცილებლად გავაკეთებ. თუმცა, ამაზე საუბარი, ჯერჯერობით, ნაადრევია. ფეხბურთელებმა დიდი სამუშაო გასწიეს და დაველოდებით, როგორ აღიდგენენ კონდიციებს და, როგორც ხშირად ხდება, შემადგენლობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მატჩის წინა საღამოს, ან თამაშის დღეს მივიღებთ.

საფეხბურთო მატჩს ყოველთვის გარკვეული იდეით იწყებ, რომელსაც მოთამაშეებს უზიარებ, თუმცა ზოგჯერ, მეტოქის თამაშიდან გამომდინარე, მონახაზი იცვლება. ეს ყოველთვის არ ემთხვევა ჩვენს სურვილს. როგორც ვთქვი, რამდენიმე ფეხბურთელი ზედმეტ წნეხს გრძნობდა, ბურთი ნელა მოძრაობდა, რაც ჩრდილოეთ მაკედონიას თამაშს უადვილებდა, მაგრამ გატანილი გოლის შემდეგ, გუნდი უფრო თავდაჯერებული გახდა. ფეხბურთი ჭადრაკს ან კომპიუტერულ თამაშს არ ჰგავს. შენ მეტოქეს ეთამაშები, რომელიც ზოგჯერ ძალიან ძლიერია, ზოგჯერ ნაკლებად. პირველ ტაიმში მოწინააღმდეგემ ნამდვილად შეგვიქმნა პრობლემები, თუმცა მათ მიერ შექმნილ საგოლე მომენტებს ვერ ვიხსენებ. დაცვაში კარგად გამოვიყურებოდით და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

გიორგი ჩაკვეტაძეს მაღალი ტემპერატურა და მუცლის ტკივილი აწუხებდა. სწორედ ამის გამო ვერ ითამაშა.

მინდა ფეხბურთელებთან, სტაფთან და ფედერაციასთან ერთად ვიზეიმო ჩვენი მიღწევები ამ ერთა ლიგაზე. ბოლო 6-8 თვის განმავლობაში ფეხბურთელებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ. პლეი ოფი წელიწადნახევრის შემდეგაა და ამაზე საუბარი ჯერ ადრეა.

ბლაგოია მილევსკი:

– როდესაც იმ კლასის გუნდს ეთამაშები, როგორიც საქართველოს ნაკრებია, თავდაჯერება აუცილებელია. ვერ დავთანხმები მოსაზრებას, რომ ის ზედმეტი გვქონდა და მეტოქე არ დავაფასეთ. ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ არ გაგვიმართლა და დავმარცხდით.

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები უეფას ერთა ლიგის ბოლო შეხვედრას სტუმრად, გიბრალტარის წინააღმდეგ, 26 სექტემბერს გამართავს. ჩვენმა გუნდმა თბილისიდან მალაგაში ჩარტერული რეისით იმგზავრა, შემდეგ კი გიბრალტარში 22 ფეხბურთელით ჩავიდა. მაღალი ტემპერატურის გამო ჩაკვეტაძე გიბრალტარში გუნდთან ერთად ვერ გაემგზავრა და ბოლო ტურის შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

სატურნირო ცხრილი:

1.საქართველო	5	4	1	0	14-2	13
2.ჩრ.მაკედონია	5	2	1	2	7-6	7
3.ბულგარეთი	5	1	3	1	9-8	6
4.გიბრალტარი	5	0	1	4	2-16	1

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

24 სექტემბერი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲣᲔᲤᲐᲡ ᲔᲗᲘᲗᲐ ᲚᲘ�გᲐ

Ა ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ესპანეთი-შვეიცარია 1:2
ჩეხეთი-პორტუგალია 0:4

Ბ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

სომხეთი-უკრაინა 0:5
სლოვენია-ნორვეგია 2:1
ისრაელი-ალბანეთი 2:1
სერბეთი-შვედეთი 4:1
შოტლანდია-ირლანდია 2:1

Ც ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ჩრ.ირლანდია-კოსოვო 2:1
კვიპროსი-საბერძნეთი 1:0

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲘᲗᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

არგენტინა-ჰონდურასი 3:0
ჰონკონგი-მიანმა 0:0
ინდონეზია-კურასაო 3:2
ს.აფრიკა-სიერა ლეონე 4:0
კოტ დივუარი-ტოგო 2:1
სენეგალი-ბოლივია 2:0

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲘᲗᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ (21)

პორტუგალია-საქართველო 4:1
მალტა-კვიპროსი 2:2
ნორვეგია-შვეიცარია 3:2

ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲝ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚ ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲗᲝᲓᲣᲐᲡ „ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ“ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲑᲔᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ, ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ 166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ. ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲭᲘᲐᲑᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ

თბილისის დინამოს მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჭიაბრიშვილმა, გულზე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, სამუშაო პროცესი განაახლა.

გიორგი ჭიაბრიშვილი:

– მოგესალმებით ყველას, ბოლო დღეებში მე და ჩემმა ოჯახმა საკმაოდ რთული პერიოდი გავიარეთ, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც მეხმარება და მხარს მიჭერს.

პირველ რიგში მადლობას ვუხდი ჩვენი გუნდის სამედიცინო შტაბს, რომლებმაც პირველადი დახმარება აღმომიჩინეს და სწორედ მათი დიდი დამსახურებაა, რომ დღეს კვლავ ჩემს ოჯახთან ერთად ვარ. ასევე, რა თქმა უნდა, მადლობას ვუხდი თელავის ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკისა და თბილისის ამერიკული ჰოსპიტალის თითოეულ თანამშრომელს. განსაკუთრებით კი, ექიმებს ოთო გაბრიჩიძეს, ნინო ჩხაიძეს და ლევან ქარაზანაშვილს.

განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს გუნდს, დინამო თბილისს, თითოეულ ფეხბურთელს, მწვრთნელს, თანამშრომელს, ჩვენს გულშემატკივრებს – ელიტას და მენეჯმენტს, ყველა მათგანისგან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ და ეს ძალიან მაძლიერებს.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ყველა იმ ადამიანის მხარდაჭერა, ვინც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში გვამხნევებდა მე და ჩემს ოჯახს. მადლობას გიხდით ყველას და მინდა იცოდეთ, რომ ეს ყველაფერი ძალიან მეხმარება დავბრუნდე იმაზე ძლიერი, ვიდრე აქამდე ვიყავი. იმედი მაქვს, სულ მალე კვლავ შევხვდებით ერთმანეთს სტადიონზე.

ჭიაბრიშვილი და დინამო ეროვნულ ლიგას სრულყოფილად სანაკრებო პაუზის შემდეგ განაახლებენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ᲑᲔᲭᲐ!

დაბადების დღეს გილოცავ, შვილო! უკვე მერამდენედ ხვდები ამ თარიღს ცათა სასუფეველში, ჩემო სიცოცხლევ! რაც დრო გადის, მით უფრო გაუსაძლისია უშენობა. არ ვიცი, რა მაძლევს ძალას, ვიცოცხლო შენ გარეშე, ჩემო ერთადერთო! მუდამ ჩემთან ხარ, გულით გატარებ ჩემო ტკივილმოუშუშებელო!

რამდენი წელიც უნდა გავიდეს, მარად ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, მხიარული, უზომოდ კეთილი ემახსოვრები ყველას.

ნათელი გეფინოს მარადიულ სასუფეველში, ჩემო სულის ტკივილო!

დედა

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ᲯᲮᲝᲡᲕᲝᲰᲔᲑᲘ Ბ



შვეულად: 1. „ბავშვთა ქალაქი“ თბილისში; 2. ალექსანდრე ყაზბეგის რომანი; 3. ძვირფასი ლითონების მიღების მეტალურგიული პროცესი; 4. ძილის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 5. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 7. ქართველი ვარსკვლავი ქალი, სტალინური პრემიის ლაურეატი; 11. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 12. სრული მარცხი, კრახი; 13. ცხოველთა, ფრინველთა სადგომი ზოოპარკში; 14. ქარის მიმართულებისა და სიჩქარის საზომი მეტეოროლოგიური ხელსაწყო; 15. უდაბნო აფრიკაში; 17. ქვაღორღის დამქუცმაცებელი მანქანა; 19. იაპონური ურითმო ლექსი.

თარაზულად: 5. გეოდეზიური საველე სახაზავი მაგიდა; 6. უბანი ძველ თბილისში; 8. ვახტანგ გორგასლის ვაჟიშვილი; 9. სამეჯლისო ცეკვა; 10. ერთ-ერთი კონტინენტი; 11. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 13. შტატი აშშ-ში, სადაც პირველად გააუქმეს მონობა; 14. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 16. მასობრივი სპორტული სირბილი; 18. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 20. ნახშირის, სახატავი ფანქარი; 21. მოკლე, საესტრადო, საცირკო ნომერი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. კახასა; 2. ორდერი; 3. ტოლმა; 5. თუჯი; 6. ლეგატი; 8. ლორისი; 11. ზავენტემი; 13. სპეტაკი; 14. სოკრატე; 15. ტიციანი; 19. დასი.

თარაზულად: 1. კაბრიოლეტი; 4. მუხთალი; 7. ხავერდი; 9. მეკონგი; 10. აზარი; 12. ელინისტი; 16. სიბარიტი; 17. ჰეფნერი; 18. კროსვორდი; 20. მიამიტი; 21. კივი; 22. მაყრიონი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. პილონი; 2. არაქსი; 3. ბაირონი; 4. ბორჩალო; 5. იორდანე; 7. ბოჭორმა; 11. სქური; 12. უაილდი; 14. პლატინა; 15. ზაჰესი; 17. ბუფონი; 19. ხევი.

თარაზულად: 5. იომიური; 6. დიზაჟიო; 8. სოჭი; 9. ვოლგა; 10. ასკილი; 11. სუვა; 13. მაჰაჯარა; 14. პრუსი; 16. აბული; 18. ოჰარა; 20. ნირვანა; 21. სვანეთი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — **2.8286**

ევრო — **2.7618**

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — **3.1298**

100 რუსული რუბლი — **4.8336**

ამინდის პროგნოზი 26 სექტემბრისთვის



ფრენკი დე იონგს 2 კვირა გაუცდება



ბარსელონას ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა ნაკრების თამაშზე ტრავმა მიიღო და მან შესაძლოა 2 კვირა გამოტოვოს, თუმცა არსებობს შანსი, რომლის მიხედვითაც დე იონგი მოედანზე უფრო მალე დაბრუნდება. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ დე იონგი ელ-კლასიკოსთვის მზად იქნება, რომელიც 16 ოქტომბერს გაიმართება და ბარსელონა რეალს სტუმრად დაუპირისპირდება.

გიორგი მამარდაშვილის სეივი ტურში საუკეთესოდ დაასახელეს

ვალენსიის ქართველი მეკარის გიორგი მამარდაშვილის სეივი მე-6 ტურში საუკეთესოდ დაასახელეს. ვალენსიამ საკუთარ მოედანზე სელტა მიიღო და 3:0 დაამარცხა, ხოლო ერთ-ერთ ეპიზოდში მამარდაშვილმა საკუთარი გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა. იმ ეპიზოდში სელტას ფეხბურთელმა თავით დარტყმა განახორციელა და მამარდაშვილმა თითქმის შეუძლებელი შეძლო.

როჯერ ფედერერი: „ჩოგბურთის გარეშე გამიჭირდება“

როჯერ ფედერერმა კარიერა დასრულა და ემოციური გაცილება მოუწყვეს. ნადალმა და ფედერერმა ცრემლებიც ვერ შეიკავეს. ფედერერმა განაცხადა, რომ ის ჩოგბურთში აუცილებლად დაბრუნდება და ჩოგბურთის გარეშე მას ცხოვრება ვერ წარმოუდგენია: „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ კარიერა ასე დავასრულე და ჩოგბურთიდან გამარჯვებული მივდივარ. გულშემატკივარს მინდა ვუთხრა, რომ აუცილებლად დავბრუნდები და ჩოგბურთის გარეშე დიდხანს ვერ შევძლებ ყოფნას“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

გიორგი კეკელიძე: „კარგად მივხვდი, რა განუსაზღვრელი ძალა აქვს სიტყვას“

აცხადებს ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და მძიმე დეპრესიასა და შფოთვით აშლილობებთან ბრძოლის საკუთარ გამოცდილებაზე წერს:

– მძიმე დეპრესიასა და შფოთვით აშლილობებთან წელიწადზე მეტხნიან ბრძოლაში, რომელთა კუდებსაც ახლა ვუღებ ბოლოს, კარგად მივხვდი, რა განუსაზღვრელი ძალა აქვს სიტყვას. ამ ომზე, სასოწარკვეთაზე, ტკივილზე, ტანჯვაზე, ფსკერზე ოდესმე აუცილებლად დავწერ. დავწერ იმ ადამიანებისთვის, ვინც ახლა იბრძვის და იმედი სჭირდება – სიტყვა სჭირდება, უბრალო და ყველაზე დიდი.

ახლა კი მინდა ყველას მადლობა გადაგიხადოთ; ხალხს, ვინც ქუჩაში მხვდებოდა ან აქ, სოციალურ ქსელში მიცვლიდა ორიოდ სიტყვას. მე ამხელა მხარდაჭერა მართლა არ დამიმსახურებია, მაგრამ გპირდებით, რომ გაცილებით ძლიერი დაგიბრუნდებით და თქვენთან ერთად დიდ საქმეებს გავაკეთებ. ეს მადლობა გარდაუვლად უნდა მეთქვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

26 სექტემბრისთვის



ვერძი – დღეს სამოგზაუროდ ნუ წახვალთ. ნებისმიერი ვოიაჟით უკმაყოფილო დარჩებით. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება. ** კურო** – სოციალურ სფეროში ფართო პერსპექტივები ჩნდება. კეთილისმყოფელი დღეა სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. **ტყუპები** – საოჯახო საქმეების მოგვარება დაუყოვნებლივ დაიწყეთ. მამაკაცები ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ლომი** – ცვლილებების დროა. ელოდეთ როგორც პოზიტივს, ისე – ნეგატივს. ნუ იაქტიურებთ. **ქალწული** – პასიური დღეა. ნუ გარისკავთ, განსაკუთრებით – ფინანსური კუთხით. **სასწორი** – ნებისმიერი საქმიანი კონტაქტი იღბლიანია. გელით რომანტიკული შეხვედრა. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში უფრო დამომობი და მოსიყვარულე უნდა იყოთ. თქვენს მდგომარეობას ბოროტად ნუ გამოიყენებთ. **მშვილდოსანი** – მშვენიერი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ზუსტად იმ ნივთს შეიძენთ, რომელიც ძალიან გამოგადგებათ. **თხის რქა** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად არაკეთილისმყოფელი პერიოდია. **შერწყული** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. ნუ მოდუნდებით. ქებამ არ გაწყინოთ. **თევზები** – გადაღლილი ხართ. დაისვენეთ და ძალები აღიდგინეთ. ოჯახის წევრებთან კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ცოლ-ქმარი ლოგინში წევს. ქმარმა ცოლს ხელი მკერდზე დაადო და ეუბნება:

– მიწასავით თბილი ხარ.

– თუ ამ მიწას არ დაამუშავებ, იჯარით გავაქირავებ!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– როგორი უკულტურო ხარ, დედაჩემი რამდენჯერ ჩამოვიდა ჩვენთან, შენ კი ერთხელაც არ წაიყვანე სასეირნოდ.

– რა აზრი აქვს? სახლის გზას მაინც პოულობს!

●●●

მასწავლებელი გაკვეთილზე:

– ბავშვებო, ამ სურათზე ხედავთ, რომ ნიანგი კვერცხებს დებს... ვინ მეტყვის, რატომ? აბა, გიგი, მიპასუხე.

– დაბერდა და აღარ სჭირდება...

●●●

მამაკაცი ოფიციანტს ეკითხება:

– რა გაქვთ ვეგეტარიანული?

– ხორბლის არაყი, ქერის ლუდი, ყურძნის ღვინო და კონიაკი!

●●●

ნარკომანი მეგობარს ურეკავს:

– ალო, თემო, როგორ ხარ?

– ახლა ვერ დაგელაპარაკები და მალე თვითონ გადმოგირეკავ, სასაფლაოზე ვარ.

– აუ, ბიჭო, ვინ მოგკლა, ტოო?!

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს ეკითხება:

– რომელ ღვინოს ანიჭებ უპირატესობას, თეთრსა თუ წითელს?

– საერთოდ დალტონიკი ვარ და ამიტომ არაყს ვსვამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნინო სურგულაძე საქველმოქმედო საღამოს გამართავს

მსოფლიოში ცნობილი ქართველი მეცო სოპრანო ნინო სურგულაძე 27 სექტემბერს საქველმოქმედო კონცერტს გამართავს.

მსოფლიო საოპერო ვარსკვლავები ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმოადგენენ საღამოს, რომელიც დაავადებული ბავშვების დასახმარებლად ჩატარდება.

პანდემიური პაუზის შემდეგ, ნინო სურგულაძის საქველმოქმედო გალა კონცერტი ბავშვების დასახმარებლად მეცო სოპრანოს მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდ „ნატვრის ხის“ ორგანიზებით გაიმართება.

საღამო იტალიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლისთავს მიეძღვნება.

ნატო დუმბაძე: „სოსო პავლიაშვილი ცოცხალია“

მომღერალ სოსო პავლიაშვილს დეზინფორმაციას უვრცელებენ. რუსულ გამოცემებზე დაყრდნობით, ქართველმა ჟურნალისტებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ მომღერალი გარდაიცვალა.

ამ ამბავს სოსო პავლიაშვილის მეგობარი, პროდიუსერი ნატო დუმბაძე გამოეხმაურა:

– აი, ადამიანზე თან ცნობილ მომღერალზე რომ დაწერ გარდაიცვალაო, ამ დროს ცოცხალი რომ არის, ასეთებზე უნდა იყოს სასჯელი!

ნახევარი საათის წინ კინაღამ გული გამისკდა. ასე რამ გააბოროტა ეს ხალხი, ასე როგორ დეგრადირდა თან ქართველი. ადამიანი ცოცხალია და გარდაიცვალაო, არ მესმის. ეს ხომ საშინელი ბოროტებაა და მანიაკობა, ასეთები უნდა ისხდნენ ფსიქიატრიულში და მიხედავენ იქ!

ვესაუბრე სოსოს – დიდხანს იცოცხლეთ, მიყვარხართ მე თქვენო – სოსო პავლიაშვილი ცოცხალია და იქნება დიდხანს! ასეთ ბოროტებს კი ღმერთი მიხედავს!

„შუა ქალაქში“ 15 წლისაა

ქართული სერიალი „შუა ქალაქში“ იუბილარია. მას 15 წელი შეუსრულდა.

ქეთევანი, თამარი, ლაშიკო, დედას ბუშტი, დათო, ანანო, სანდრო, მარიკა, ირაკლი – ეს იმ პერსონაჟების არასრული ჩამონათვალია, რომელთაც მაყურებელი წლებია არ ივიწყებს.

თამუნა ნიკოლაძე, „შუა ქალაქის“ მსახიობი:

– ზუსტად 15 წლის წინ, შაბათს, 10 საათზე გავიდა პირველი სერია „შუა ქალაქში“. სერიალი 5 წელია დასრულდა, მაგრამ სულ გამეორებით და იგივე ემოციით გვიყურებს ერთგული მაყურებელი. მადლობა სიყვარულისთვის, ადამიანებო!

საქართველოს ოსკარზე ფილმი „დიდი შესვენება“ წარადგენს

ამერიკის კინოაკადემიის 2023 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს კანდიდატი ფილმი გამოვლენილია.

„დიდი შესვენება“ – ეს არის დათა ფირცხალავას ფილმი, რომელიც 12-კაციანმა სპეციალურმა ჟიურიმ შეარჩია.

ფილმის კამპანია ოქტომბერ-ნოემბერში ლოს ანჯელესში დაიწყება, ხოლო დეკემბერში გამოქვეყნდება მოკლე ცნობა. წელს საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად 6 ქართული ფილმი იყო წარმოდგენილი.

შერჩევის პროცედურა საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა 22 აგვისტოს დაიწყო.

ეროვნულ გალერეაში მეფე ერეკლესადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა

„მეფე ერეკლე – საქართველოს უკანასკნელი ლომი“ – ასე ჰქვია გამოფენას, რომელიც დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გაიხსნა.

ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფისადმი მიძღვნილ ექსპოზიციაზე ქართველი მონარქისადმი მიძღვნილი უნიკალური ნივთებია წარმოდგენილი: ერეკლეს გულსაკიდი ხატი, თოფები და ხმლები, მეფის ხალათი, საბეჭდავები, ხელნაწერები და წიგნები.

გამოფენაზე დიდი ადგილი ეთმობა ერეკლე მეფის საბრძოლო წარმატებებს, ამ მხრივ აღსანიშნავია იმ პერიოდის საქართველოში ჩამოსხმული ზარბაზნები, გამოჩენილი ქართველი მხატვრების ტილოები მიძღვნილი ასპინძისა და კრწანისის ბრძოლებისადმი.

ექსპოზიციაზე საგანგებოდაა წარმოდგენილი ისეთი ძვირფასი მემორიალური ნივთები, როგორებიცაა: მეფე ერეკლეს მიერ სვეტიცხოვლის ტაძრისადმი შეწირული საეკლესიო ნივთები, დედოფალ დარეჯან დადიანის ზურმუხტის საყურეები, თეკლე ბატონიშვილის ოქროსა და ვერცხლის ქამრები, გიორგი XII-ის ნეფრიტის საბეჭდავი.

საექსპოზიციო დარბაზში დამთვალიერებელი იხილავს საქართველოს სამეფო და საკათალიკოსო ტახტებსაც. გამოფენა წარმოადგენს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმის, ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმის, საქართველოს ეროვნული არქივისა და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ურთიერთთანამშრომლობის შედეგს.

გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატების ნაწილი ფართო დამთვალიერებლის წინაშე პირველადაა გამოფენილი.

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში ერეკლე მეფისადმი მიძღვნილი გამოფენის დათვალიერება მსურველებს 16 ოქტომბრის ჩათვლით შეეძლებათ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↘



შვეულად: 1. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი, აირი; 2. აზიაში გავრცელებული ანტილოპა; 3. სატანვარჯიშო იარაღი; 5. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში; 6. ტკბილეული, დესერტი; 8. აეროპორტი ლონდონში; 11. მთავარი პარტიების შემსრულებელი მომღერალი ქალი ოპერაში; 13. ძველებური ჯიბის საათი; 14. ავსტრალიური სირაქლემა; 15. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 19. ესპანელი ფერმწერი.

თარაზულად: 1. პროგრესის მოწინააღმდეგე ადამიანი; 4. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 7. უზენაესი სათათბირო ორგანო შუა-საუკუნეების საქართველოში; 9. ცნობილი ქართველი ექიმი-რეანიმატოლოგი; 10. გერმანული ავტომობილი; 12. თანამედროვე მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 16. ყოველმხრივ უზრუნველყოფილი, მდიდრული ცხოვრება; 17. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 18. კრიტიკული მდგომარეობა ჭადრაკში; 20. ერთ-ერთი უძველესი ქართული დამწერლობა; 21. საბჭოთა მაღალი განმავლობის მსუბუქი ავტომობილი; 22. ნავთობის საბადო კახეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა